

# ბსპლი იპერიკა

კვ-20

საპარტიზმოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის  
საზღვარგარეთელი ახალგაზრდობის ორგანო.

LA NOUVELLE IBERIE

L'Administration: M-r V. Djibladzé 8, rue Coypel, 8 Paris (13)

სექტემბერი 1938 წ.

№ 11

SEPTEMBRE 1938

30 სექტემბერი 1938

მიუნხენის  
თათბირი

მძიმე წუთები განიცადა დასავლეთის კულტურის ხალხმა: ომის აზრდილმა გაიარა ევროპის ველზე და გლოვის ზარმა თითოეულ მცხოვრებს ხოცვა-ჟლეტის შესაძლებლობა. სხვა დაინტერესებულ ქვეყნებს რომ თავი გაუანებოთ, მარტო საფრანგეთის, გერმანიის და ჩეხოსლოვაკიის საზღვრებზე, დაახლოებით ოთხ მილიონ ნახევარი ჯარისკაცია უკვე თავმოყრილი და ერთი მეორეს დასაჯახებლად დამზადებული. ომი რომ დაწყებულიყო უთუოდ ინგლისი და ალბათ რუსეთი და იტალიაც იძულებული გახდებოდნენ ბრძოლაში ჩარეულიყვნენ. 1914—1918 წლების სისხლის ღვრა კვლავ აესახა ჯერ კიდევ განუკურნავ კაცობრიობას.

ჩვენ მრავალჯერ გვქონდა შემთხვევა აღვცენიშნა, რომ ევროპის შუა გულში დაუკმაყოფილებელ გერმანიის მშვიდობიან გზაზე შედგომა ბუნებრივი ვერ იქნებოდა და რომ ნებით თუ უნებლიეთ, იმავე ბუნების კანონების ძალდატანებით, ის არსებული სტატუს-კვოს შეცვლას შეეცდებოდა. ვულკანი თითქოს აქტივობაში შევიდა: მარტიდან მოყოლებული საერთაშორისო სცენაზე მთავარი მომქმედი პირი და მსოფლიო დიპლომატიის ყურადღების მთავარი ცენტრი გერმანიაა. სულ მცირე რამ აკლდა, რომ საერთაშორისო ომი ხელახლა დაწყებულიყო.

ომი ყოველთვის ყოფილა და მომავალშიც იქნება, მაგრამ ამ ჯამად საერთაშორისო ომის დაწყება, სადაც მთავარი მოწინააღმდეგე ძალე

კ-534





ბი იქნებოდნენ ერთის მხრივ, თითქმის მარტო გერმანია; და მეორეს მხრივ ინგლის-საფრანგეთის შეერთებული საიმპერიო კოალიცია, შეიძლება ითქვას, რომ ეს დასავლური ცივილიზაციის დათრგუნვას გამოიწვევდა. ამ ომის მთავარი სულის ჩამდგმელი მოსკოვი იყო, მაგრამ რუსეთის ომში მონაწილეობა ძლიერ შეკვეცილი იქნებოდა: ის ალბად, რამოდენიმე საპაერო ესკადრის გამოგზავნას დასჯერდებოდა; ხოლო ლაშქრობას ეგროპის ველზე საბჭოთა ხელისუფლება ვერ გაეძღვდა, რადგან რეჟიმი შიგნით მტკიცე არ არის და ჯარსაც მწიფე ხელმძღვანელობა არა ჰყავს. რუსეთი მრავალნაირ მიზანს უსახავდა მის მიერ ნასურვებზე და ეგროპაში: ჯერ ერთი, მოსკოვის ანგარიშობით გერმანია ვერ გაუძლებდა ინგლის-საფრანგეთის კოალიციას და დამარცხებულ გერმანიაში მესამე ინტერნაციონალს ადვილად შეეძლო ნაციონალ სოციალისტური ხელისუფლების ნაცვლად კომუნისტური ხელისუფლება დაემკვიდრებინა. ვარდა ამისა მოსკოვის მოლოდინით ახალი საერთაშორისო ომი იმდენად შეარყევდა საფრანგეთის სოციალურ წესწყობილების საფუძვლებს, რომ ომის შემდეგ ადვილი იქნებოდა მოსკოვის ხელმძღვანელობითა და კომუნისტური გერმანიის თანამშრომლობით თვით საფრანგეთშიც სამოქალაქო ომის დაწყება და სოციალური რევოლუციის მოხდენა. ხოლო გერმანიის და საფრანგეთის გაკომუნისტება — ეს იქნებოდა თავისუფალ ინიციატივაზე დამყარებულ ცივილიზაციის მოსპობა. უფრო უშუალო მიზანიც ჰქონდა რუსეთს ჩეხიის საკითხის გამო საფრანგეთ გერმანიას შორის ომის ატეხისათვის; ყველამ იცის, რომ ახლამ გერმანიამ დასავლეთისაკენ პრეტენზიებზე ხელი აიღო და ვრცელი რუსეთის ტერიტორიისაკენ იყურება ეკონომიური ბაზრისა და ნედლი მასალის მოსაპოვებლად. თუ კი ამეამად ომი ატყდებოდა, გერმანია იძულებული გახდებოდა ბრძოლისა და ყურადღების ცენტრი რუსეთის ნაცვლად, საფრანგეთის და ინგლისის წინააღმდეგ გადმოეტანა, რაც ხელს შეუწყობდა ბოლშევიკური ხელისუფლების განანგრძობვებასა და განმტკიცებას. დასასრულ, რუსეთი თითონაც გრძნობს, რომ საბჭოთა ჯარი ერთობ სუსტი სამხედრო ძალაა, ხოლო მისი ისტორიული მტრები გერმანია და ინგლისი მასთან შედარებით ერთობ ძლიერნი არიან. ურთიერთ ომი ორივე მტერს დაასუსტებდა და ამ საშუალებით, იმ შემთხვევაშიც, თუ ზემოდ აღნიშნულ ფართო მიზნებს ვერ მიაღწევდა, საბჭოთა სამხედრო ძალა მტრების ძალონეს შედარებით მაინც გაუთანაბრდებოდა. ყოველ ვარემოებაში ომიდან გამარჯვებული მარტო რუსეთი გამოვიდოდა: მაგრამ ეს მაკავალური გეგმა კომინტერნის ხელმძღვანელობას ვერ გაუმართლდა. რაც შეეხება ჩვენს ტანჯულ სამშობლოს, უნდა ითქვას, რომ თუნდაც ომი დიდი ფაქტორია ერის განთავისუფლებისათვის, მაგრამ ამ პირობებში მომხდარ ომს ჩვენთვის სასიკეთო ვერაფერი მოყვებოდა.

დღეს, დროებით, მშვიდობიანობა უზრუნველყოფილი მოსჩანს. მაგრამ, ხანგრძლივი ზავი დასავლეთ ეგროპაში შეუძლებელია ვიდრე ბერლინის ხელისუფლება და ინგლის-საფრანგეთის სოლიდარული დიპლომატია ორივე მხარისათვის მისაღებ შეთანხმებას ვერ მიაღწევენ. შეთანხმების საგანი შეიძლება იქნეს მხოლოდ დასავლეთის სახელმწიფოთა საერთაშორისო პოლიტიკის მთავარ ხაზებში ერთმანეთთან შეგუება. პრაქტიკულად ასეთი შეთანხმება წარმოუდგენელია თუ ამას სა-

რჩულად ბოლშევიკურ ან პანაზიურ საფრთხეთა წინააღმდეგ ბრძოლა არ ექმნა.

დასავლეთის პაქტის შესაძლებლობის მაგალითი მიუნხენის თათბირმა მოგვცა. ხუთი თვე გაგრძელდა გერმანიას და ჩეხოსლოვაკიას შორის სუდეტთა საკითხის გარშემო დავა. დიპლომატიამ ამოსწურა ყოველგვარი ნაცადი ხერხი, მაგრამ ომი მაინც აუცილებელი შეიქმნა. როგორც უკიდურესი ზომა მიმართეს დასავლეთის პაქტის უნებლად ჩასახვეს — ოთხთა თათბირის მოწვევის სახით. მიღწეული შედეგის დადებითი ხასიათი იმდენად ცხადია, რომ მოვლენის განმარტება ზედმეტად მიგვაჩნია. ოთხთა თათბირის მოწვევა და მის მიერ ასე სწრაფად დიდად რთული საერთაშორისო ჯგანის გარიგება, მოწმობს, რომ დასავლური პაქტის შექმნა თანამედროვე მდგომარეობის ერთგვარი დიპლომატიურ საჭიროებას საერთაშორისო სარგებლიანობას წარმოადგენს.

დასავლური შეთანხმება ოთხთა კავშირის სახით, ერთი მთავარი ხელმძღვანელი აზრია ამჟამად ბრიტანეთის პირველი მინისტრის ევროპული პოლიტიკისა. ეს პაქტი ინგლისისათვის მისაღებია, რადგან ის ამ საშუალებით, გერმანიის საერთაშორისო პოლიტიკას ერთგვარად გარშემოზღუდავს. იტალია თვით არის ოთხთა კავშირის ავტორი და ყოველგვარ ღონისძიებით ცდილობს ამ პროექტს ცხოვრებაში გატარებას. რომის მოლოდინით ოთხთა კავშირის კერაზე პარიზსა და ბერლინს შორის ყოველთვის იქნება დავა და ხლართი და ამ დავაში არბიტრის როლის მისაკუთრებას ესწრაფვის. ამის საფასურად, ალბად, სამხრეთ ბალკანეთში გავლენის უპირატესობას მოითხოვს. აღოლფ ჰიტლერი დიდი ხანია მის მეზობლებთან შეთანხმებას ცდილობს. მისი შერჩეული მეთოდი — ეს ორპირადული შეთანხმებაა, მაგრამ ბევრი მოსაზრება გვაფიქრებინებს, რომ მხარს დაუჭერს დასავლური პაქტის შეკვრას, როგორც ეს, დაახლოებით ინგლისს და იტალიას აქვს წარმოდგენილი: პაქტმა გერმანიას ეკონომიურ თუ პოლიტიკურ საკითხებში, ამა თუ იმ სახით, აღმოსავლეთ ევროპაში თავისუფალი დენის გზა უნდა მისცეს. საფრანგეთის მდგომარეობა უფრო რთულია ამ საკითხში და თვით ფრანგის ერში ეს საკითხი ძლიერ დიდ სირთულეს იწვევს. გერმანიას დიდი რიცხვობრივი უპირატესობა აქვს საფრანგეთთან შედარებით. ამიტომ საფრანგეთის თავდაცვის სისტემა დამყარებულია სამხედრო კავშირების შემწეობით ევროპაში ძალთა რიცხვობრივი წონასწორობის შექმნაზე. ამ მიზნით საფრანგეთს კავშირების მთელი სისტემა აქვს გაბმული ევროპაში: ინგლისთან მეგობრული შეთანხმება და სამხედრო კავშირი პოლონეთთან, მცირე ანტანტასთან და რუსეთთან. თუ ოთხთა კავშირი შეიკრა საფრანგეთი იქნება ოთხთა შორის ყველაზე მცირერიცხოვანი სახელმწიფო და ის პრაქტიკულად, ინგლისის გამოკლებით, ვერც ერთ მის მოკავშირეს ვერ დაეყრდნობა. ამიტომ დასავლური პაქტის შექმნა კარდინალურ ცვლილებას შეიტანს საფრანგეთის საერთაშორისო პოლიტიკაში და ამით აიხსნება ის სასტიკი წინააღმდეგობა, რომელსაც ფრანგის პოლიტიკოსთა დიდი უმრავლესობა ოთხთა კავშირის შექმნას უწევს. მაგრამ რა მძიმეც არ უნდა იყოს პოლიტიკური გეზის ასეთი ძირფესვიანი გამოცვლა, საერთაშორისო ურთიერთობის განვითარება ისეთი მიმართულებით მიმდინარეობს, რომ ადრე თუ გვიან, და უფრო ადრე ვინემ გვიან, დასავლური პაქტის შექმნას, ალბად, საფრანგეთიც დასტურს მისცემს: მართლაც, იმ წუთში, როცა საფრა-

ნკეთის სახელით ელჟარდ დალაღიმ მიუნხენის შეთანხმებას ხელი მოაწერა და ჩეხიის სტრატეგიული პოზიციის შეცვლაზე დათანხმდა, ძველი ყალიბის წონასწორობის საძირკველი არსებითად დაზიანდა და ამის შემდეგ ძველი გარემოება შეუცვლელად ვერ დარჩება. სამართლიანი იქნება, და შეიძლება ეს პოლიტიკურად აუცილებელიც შეიქმნეს, რომ დასავლური პაქტის მონაწილეთ პოლონელი ერიც გახდეს.

როგორც ზემოდ ვსთქვით, თუ დასავლეთის პაქტი შეიკრა, არ შეიძლება ამას შინაარსი სხვა რამე ექნეს, გარდა ევროპის დიდ სახელმწიფოთა შეთანხმებული მოქმედებისა აღმოსავლეთის ქვეყნებში. ბოლშევიზმის აქტივობა და იაპონიის პანაზიური პოლიტიკა ოთხთა შეთანხმების მსჯელობის ერთი მთავარი საგანი იქნება; ეს პირველ ყოვლისა საფრანგეთში გამოიწვევს მოსკოვის მომხრე და მოწინააღმდეგე სულისკვეთების პოლიტიკოსთა შორის დაჯახებას, ამრიგად, ოთხთა შეთანხმების შემუშავება ერთობ რთული საკითხია და ჯერ არავინ იცის თუ მომავალში რა ფორმას და მიმართულებას მიიღებს.

ქართველთათვის მრავალ მხრივ არის საგულისხმო და მნიშვნელოვანი ამ უკანასკნელ დროს მომხდარი საერთაშორისო მოვლენები, მაგრამ მათი განვითარების სრულ დახასიათებას აქ ვერ შეუძლებით. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ სუდეტების საკითხის განვითარება და მისი მორიგებით გადაჭრა ოთხთა თათბირის შემწეობით, ამჟღავნებს, რომ პოლიტიკური რუქის გამოცვლის საშუალება ახალ სახეს ღებულობს და ერთა შორის ძალთა ახალი წონასწორობის ძიების ხანა იწყება. ეს იმდენად რთული საქმეა, რომ ჩვენი პატარა საკითხი დავიწყების უფსკრულიდან ველარ ამოვა, თუ ქართულმა ეროვნულმა ემიგრაციამ სათანადო მუშაობა არ აწარმოვა.

ამ ახალის შენების ხანაში ეროვნულ ემიგრაციას შემთხვევა ეძლევა შეეცადოს საქართველოს საკითხი დასავლეთის ბუმბერაზთა პოლიტიკაზე დაამყნოს, რაც საქართველოს საშუალებას მისცემს დაუბრუნდეს მის ისტორიულ როლს აღმოსავლეთში დასავლური კულტურის მოწინავე ბასტიონისა. მეთერთმეტე საუკუნიდან მეთვრამეტის დამლევამდე დასავლეთის სახელმწიფოები იცნობდნენ საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობას, მაგრამ ჯეროვნად ვერ აფასებდნენ მის მნიშვნელობას. დღეს, სამწუხაროდ, საქართველო ვერ ითამაშებს ისე დიდ როლს, როგორც წარსულში შეეძლო, მაგრამ შესაძლებელია რომ ქართველთა ბუდის გარშემო, კავკასია შეიქმნას აღმოსავლეთში დასავლური ცივილიზაციის ერთ-ერთი მაგარი საყრდნობი პუნქტი. ქართველ ემიგრაციამ, რომ ეს როლი ითამაშოს, მან უნდა შეიმუშავოს ერთი მთლიანი ეროვნული გეგმა და შექმნას ამ გეგმის აღმასრულებლად ერთი ეროვნული ცენტრი. ამ საკითხებს თავის დროზე დაუბრუნდებით.





## ფრთხილად!

ევროპის ისტორიის ეს ტრადიკული წუთები ბევრს ემიგრანტს გონების სიფხიზლს უკარგავს და სახიფათო ილუზიებს უღვიძებს. ჩვენ-და სავალალოდ ეს არც დიე მოულოდნელი უბედურებაა: ვინაიდან ჩვენს მომეთაურე ხალხს ინგჯი გონება და სწორი ალღო შედარებით უფრო დამზვიდებულ საერთაშორისო ცხოვრების დროსაც არ გამოუჩინია და ჩვენი ქვეყანა, სხვერპლი მისი სულიერი სივაგლახისა, ყოველად უიმედოსა და განწირულ აჯანყებაში გადაუჩენია...

დღეს, როდესაც ქვეყნიერობას სისხლის წარღვნა ემუქრება და მომავლის გამოუცნობ შესაძლებლობათა ხლართში ყველას თავ-თავისი მიზანი უკვე განხორციელებულად ელანდება, — იი ამ განუტრეხელ ატმოსფერაში ყოველი ბეცი და უპერსპექტივო გონება, ყოველი უკონტროლო ტემპერამენტი სახიფათო უაზრობაში ვარდება და მაქსიმალური თვითაფეთქებისათვის დულს და ფუსფუსებს.

რომ ამის შედეგი მარტო იმ თითო ოროლა ადამიანს შეეხებოდეს, ვინც ამ სენისაგან შეპყრობილია და რომ საქმე მათი პირადი სხვერპლით გათავდებოდეს, მაშინ ჩვენ არაფერს ვიტყოდით. მაგრამ, როგორც ეს ჩვენი უკანასკნელი აჯანყების დროს იყო, უბედურება იმაშია: რომ ამ უთაური მეთაურების პირადი ცხოვრება ყოველგვარ საშიშროების გარეშე რჩება — და ეს მათ ძალიან კარგად იციან — ხოლო მათი მიზნებით ჩვენი ქვეყნის ჯალათები იქ, საქართველოში, სისხლის ახალ ახალ გუბეებს დააყენებენ! და ტრადელიაც სწორედ ამაშია.

არის კიდევ ერთი გარემოება, რომელიც საფრთხეს ართულებს და ამ ადამიანების ისედაც სახიფათო ბუნებას ზედმეტი მავნებლობის შესაძლებლობას ანიჭებს. ეს ისა, რომ ამ ადამიანთა ერთი ჯგუფი ერთი ქვეყნის პენსიონერია, მეორე კიდევ მეორისა, მესამე, მეოთხე და სხვა-ნი, თუ ჯერ კიდევ არავისა ჰყმობიან. წელეზე ფეხს იდგამენ, რომ ეს პენსია მოიპოვონ და „ხარისხით“ სხვებს გაუთანასწორდნენ. ხოლო ის, ვინც ამ მხრივ უკვე დაბინავებულია, ის დაბეგებულიც არის. დაბეგებულია როგორც უბრალო საგანი მისი გამოძევები ქვეყნის სახელმწიფოებრივი საჭიროებისათვის. ამგვარად, სხვისი ნებისყოფის მხვევალი, იგი მოკლებულია საკუთარი ხაზისა და მოქმედების თავისუფალ არჩევას. ხოლო სხვისი სახელმწიფოებრივი საჭიროება, გარემოებათა მსვლელობაში ცვალებადია და შეიძლება ჩვენი ქვეყნისათვის საბედისწერო გამოდგეს. ზოგიერთის პენსიონერობას ზედ ერთვის, როგორც ზედმეტი გართულება, ის გარემოება რომ ეს საპენსიო წყარო სიბნელით არის მოცული და ამიტომ ჰიპოთეზათა შორის შეუძლებელია, რომ ადამიანმა უკეთესის გვერდით უარესიც არ წარმოადგინოს და ამ წყაროს სათავე თვით საქართველოს აშკარა შტრის საიდუმლო ფონდში არ დაინახოს. ხოლო ამ უარესი ჰიპოთეზის შესაძლებელი სინამდვილის საშინელი შედეგები თვით მკითხველმა წარმოიდგინოს.

ყოველ ექვს გარეშეა საქართველოს დაუზოგველი აკლება, მისი აოხრება ცეცხლითა და მახვლით, თუ დღეს რომელიმე საბედისწერო თაოსნობის ემიგრანტული ჯგუფი თავის მოკლე ჭკუის კარნახს აპყვა... და თუ აპყვა, ჩვენდა საუბედუროდ, აქ ასპარეზი თავისუფალია და ატმოსფერა ხელსაყრელი: ემიგრაცია, ქვეყნის სამარცხვინოდ, უკიდურე-



სობამდეა დაქსაქსული. არავითარ ეროვნულ დისციპლინაზე, არავითარ ავტორიტეტზე აქ ლაპარაკი არ შეიძლება. ყველა თავისთვის მეთაურობს და ლიდერობს. ამიტომ თითო-ორი კაცის სახიფათო თაოსნობას წინ არავითარი დაპრკოლება არ დაუხვდება და იგი თავის კრიმინალურ საქმეს ლოლიკურ დასკვნამდე მიიყვანს.

შეუძლებელია ეს მდგომარეობა გაგრძელდეს! ემიგრაციამ უნდა იკმაროს ამდენი თავის შერცხვენა და დაუბრუნდეს ეროვნულ მოვალეობას. მან უნდა მოიკრიფოს ის ზნეობრივი ენერგია — ცოტა, ძალიან ცოტა — რომელიც ხელუხლებელი გადაურჩა ემიგრანტულ წელთა ვაკანალიას და მთანდინოს თავის თავის რადიკალური სულიერი გარდაქმნა. როცა ეს მოხდება, მაშინ შესაძლებელი გახდება და ხორცს შეისხამს ნამდვილი ქართული ერთობა, რომელიც ყველას პირზე აკერია; მაგრამ რომლის დასამყარებლად არავინ უბრალო სხვერბლსაც არ იმეტებს. მაშინ აღორძინდება დღეს მიმქრალი ეროვნული ავტორიტეტიც და ბოლო მოეღება ყოველგვარ სახიფათო თაოსნობას, რომელსაც დღეს ყალბი ამბიციის შეჯახების ნიადაგზე, თუ სხვა მოსაზრებით დაუსჯელად ეწევიან სხვა და სხვა ჯურის ჯგუფები და რომელიც საქართველოსთვის დიდ საფრთხეს წარმოადგენს.

მაგრამ ვიდრე ეს მოხდებოდეს და სანამ დღევანდელი საერთაშორისო გამწვავება გაგრძელდება, ყოველმა შეგნებულმა პატრიოტმა თავისი თადარიგი უნდა დაიჭიროს. ჩვენი მხრივ — ამაში ჩვენ ვხედავთ ჩვენს ეროვნულ ვალდებულებას — მთელი ჩვენი არსებით შეგებრობილებით ყოველ ისეთ თაოსნობას, რომელიც თავისი აბსოლუტური სიცხადით, საქართველოს ახალი ეროვნული უბედურების შემზადების მიზეზი იქნება და სხვა არაფერი.

რაკი ზემოაღნიშნული ვითარების გამო, დღეს ემიგრაციაში სხვა გამკითხავი არავინაა, ამიტომ აშკარაა, ერთი რომელიმე კერძო ჯგუფის ეროვნულად მენეჯერული საქმიანობა უნდა მეორე კერძო ჯგუფის ენერგიულმა ნებისყოფამ შეაჩეროს და აღკვეთოს. აქ საქიროა ფრჩხილების გახსნა, ვინაიდან ერთობ დიდია პასუხისმგებლობა ერის წინაშე იმ უბედურებისათვის, რომელიც შეიძლება მას კვლავ თავს დაატყდეს ზოგიერთი ემიგრანტული ჯგუფის წყალობით.

ამჟამად და სახელდადებით საქმე „კავკასის“ ჯგუფს ეხება. ჩვენ ყველანი კარგად ვიცნობთ ამ ჯგუფს. ჩვენ ჩვენი ქურნალის ფურცლებზე, დანარჩენებმა თავ-თავიანთ გამოცემებში, ხოლო ყველამ ერთად სიგანგებოდ მოწვეულ ყრილობაზე უკვე შევაფასეთ და უკიდურესი სიმკაცრით დავემთ „კავკასის“ მანენებელი მუშაობა, რომელიც ჯერჯერობით ორ რამეში გამოისახა:

1. საქართველოს ტერიტორიის მიმართ — მორალურად და პოლიტიკურად ბოლშევიკების ბოროტმოქმედების სრულსა და ურეზერვო გაზიარებაში და

2. ემიგრაციის მიმართ — ჯერ ქართული და მერე კავკასიური ერთობის უაღრეს დაშლაში.

მაგრამ როგორც სჩანს, ამ „გამარჯვებებით“ წახალისებული „კავკასი“ ეხლა სხვა გზიდან გვივლის. ის აღარ ჯერდება მარტო ლიტერატურულ მოღვაწეობას, აღარ ჯერდება, მაშასადამე არც იმ ზიანს, რომელიც ამ გზით მან მიაყენა ან კიდევ შეეძლო მიეყენებინა საქართველოსი და მაშასადამე კავკასიის ინტერესებისათვის. მიღებული ცნობე-

ბით, „კავკაზის“ ცხოვრებაში მეორე ფაზა იწყება, ფაზა ორგანიზაციული და პრაქტიკული მოქმედებისა.

მისი ევრაგული წარსულის მიხედვით, ძნელი წარმოსადგენი არ იყო, რომ ამ ახალი „ბოქოს“ პირველ აღნიშვნას „კავკაზის“ დახელოვნებული ბელადი მოაწყობდა განსაკუთრებულად შერჩეულ საპროვოკაციო გარემოში! ეს ასეც მოხდა. ამ დემონსტრაციისათვის ერთის მხრივ მან აირჩია დღევანდელი საერთაშორისო კრიზისის უუშუშავესი მომენტი, დღე-დღეზე ევროპის ცაზე ზარბაზანთა აგრიალების მოლოდინი, ხოლო მეორეს მხრით მან გამოიყენა გერმანიის სტუმართმოყვარეობა და წასვლა-წამოსვლის შესაძლებლობა. როგორც ყოველივე ამის დასკვნა, „კავკაზის“ ბელადმა თავის რაზმს თავი მოუყარა ბერლინში. ეს თეატრალური ეფექტის მოსახდენად გამოანგარიშებული ჟესტი იმ დროს როდესაც თვით ევროპის დიდი დაპირისპირებული ქვეყნების პასუხისმგებელი წრეები შეგნებულად გაუბრძანებდნენ ერთმანეთის ყოველ ზედმეტ გამოწვევას და განსაკუთრებულის სიფრთხილით ზომავდნენ ყოველ ნაბიჯს და ყოველ სიტყვას, — ასეთ მძიმე წუთებში „კავკაზის“ ეს ყოვლად უგემური ყოყლოჩინაობა ნამდვილი პროვოკაცია ჩვენი ტანჯული ქვეყნის თავზე ახალი უბედურების მოსავლინებლად! ამ ჯგუფის წარსულის შუქზე, მის მიერ დღეს გამართული დემონსტრაცია ჩვენს გულს შიშითა და იქვეებით ავსებს. შეიძლება ევროპამ ეს კრიზისი გადაიტანოს და სადაო საკითხები მშვიდობიანად მოაგვაროს, ხოლო ამ ჯგუფის უპასუხისმგებლო ფუსფუსმა და ჩხირკედლობამ შეიძლება ჩვენი ქვეყანა სისხლის მორევში ააქუროს!..

ამ შესაძლებლობის წინაშე, ეროვნული მოვალეობის გრძნობა და შეგნება მოითხოვს — ამ გზა-კვალ აბნეულ ჯგუფს გონიერებისაკენ მოუწოდოთ.

ღვთის გულისათვის, გვაკმარეთ და თქვენც იკმარეთ რაც თქვენმა კალამმა საქართველოს ზიანი მიაყენა. ღმერთმა გვაშოროს ჩვენც და თქვენც, რომ საქართველოს მიწა-წყალზე დღეს თქვენს კაცს ფეხი დაედგას ... პრაქტიკული მუშაობისათვის! ფრთხილად, ქვეყანას არაფერი დაუშავდეს!



## ილია ჭავჭავაძის ხსოვნას

ამ ასი წლის წინეთ, საქართველოს მწუხრით მოცულ ცაზედ იშვა ვარსკვლავი, მაშინ ჯერ კიდევ ოდნავ მბუჭტავი, შემდეგში კი, წელთა მსვლელობის დროში, ბრწყინვალე მნათობად რომ იქცა, და წავლიადით მოფენილი არე გაგვიშუქა იმედით და მხნეობით.

იგი ვარსკვლავი და ის მნათობი არის ჩვენი სასიქადულო, დიდი ილია! სწორედ შავითა და ბნელით იყო გარემოცული ჩვენი ქვეყანა ილია რომ იშვა!

საქართველოს ცხოველმყოფელი მზე, იმისი თავისუფლება, ჩასვენებული; დამოუკიდებლობის აღსადგენად ფართე მასშტაბით მოწყობილი ბრძოლა — სისხლით, მახვილით და კივი ციმბირით აღმოფხვრილ ჩაფუშული მტერმა სავსებით ისარგებლა იმით, რომ აჯანყების ორგანიზაცია არ იყო ბოლომდე გატარებული. თავი კაცები, იმდროინდელი



ქვეყნის მესაქე — ინტელიგენცია — მოსაზობილი, ერი უპატრონოდ, უხელმძღვანელოდ თავის ბედზედ მიტოვებული. ქართული მწიგნობრობა, ქართული სასწავლებლები, უმაღლესი, უმაღლესი, დამცირებულ-მიეცილი, მათ მაგიერ კი გამარუხებული სკოლების და ყაზარმების უხვად მოფენა. საქართველოს სახელმწიფოებრივი წყობილების ძირფესვიანად ამოგდება, მრავალტანჯული ქართული ეკლესიის დამცირება; უცხო ხალხის, არა ქართველების ჩვენს მიწა-წყალზე ჩამოსახლებით ქართველი ერის ქონებრივი პირობების ძალზედ გართულება და შევიწროება; ყოველ სფეროში საქართველოს მთლიანობის დასარღვევად, უხვად მომარჯვებული ზომები, სასტიკი და უღმობელნი; ჩვენი სამშობლოს უკვდავ ისტორიულ ტრადიციების მატარებელი პატრიოტების დევნა-შევიწროება; ქვეყნის მოღალატე კარიერისტების კი წინ წამოყენება! ქართული ღირსების, სახელის ფეხქვეშ გაქლევა! რუსის ჯარისკაცთა გაქონილი წაღა გაშმაგებით ჰქექყდა ყველაფერს, რაც კი საქართველოს დიდებას, მის წარსულს და ღერსებას მოგვაჯონებდა.

აი, სურათი იმ საქართველოსი, ილიას რომ დახვდა, როდესაც იგი თავის ქვეყანას მოელონა.

გამარჯვებული მტერი გალაღებული, სირაინდეს და სინილის გაშორებული. უკვე ზეიმობდა მის წინ უღონოდ დახტებულ საქართველოს ხილვით. მას უკვე ესახებოდა გადაგვარებულ და გადაშენებულ ქართველი ერის მაგიერ, ჩვენ მიწა-წყალზედ რუსეთის შიდა გუბერნიების მსგავსი მდგომარეობა, საუკუნოებით დამონებული მოსახლეობით, თავისი თავის ღირსებაც რომ დავიწყებოდა, ორთავე მუხლზე დაჩოქილი გამოუთსავლი სიღარიბეში და წუშმეში რომ იყო ჩაგდებული. ყველაფერი თითქოს ზომით და წონით ჰქონდა ნააგარიშვეო ჩვენი ქვეყნის ურცხვად დამპყრობელს, იმპერატორების რუსეთსა, მაგრამ დარჩათ ერთი რამ, რაც გამოუთსხლტა მას მხედველობიდან..

და ეს ერთი რამ იყო — უკვდავი სული ქართველი ერისა, ჩვენდა სანუგეზოდ ცხრაკლიტულში მიმაღული, საქართველოს მაღალ მთებსა და ღორბად ჩაქანებულ ნეფებში, ჩვენს დაბურულ ტყეებსა და ნახად გადაშლილ ბალ-ვენან-მინღვრებში; ჩვენს გადმოცემებსა და ლეგენდებში, ჩვენს ლექსში და სიმღერებში; ძველს მწერლობასა და მატინანეში მოკლედ, ყოველი ქართველის გულში, მის არსებაში!

ეს ეროვნული ციხე-სიმაგრე მიუდგომელი აღმოჩნდა რუსეთის ძალებისათვის, ვინაიდან მისი მდგრად დაცვა ებარა თვითუღ ქართველს, ქალსა თუ კაცს, დიდსა თუ მოზარდს, ე.ი. მთელ საქართველოს!

ამან იხსნა საქართველო მოსაზობიდან, როგორც მთლიანი და გარკვეული ორგანიზმი, მიუხედავად იმისა, რომ სწორედ ამ მოსაზობას გვიმზადებდა რუსეთის მმართველობა, დღიდან მისი საქართველოში შემოქრისა... და ბოლოს საქართველომ გაიმარჯვა და არა იმისმა მტერმა!

ამ გამარჯვებაში ყოველ ქართველს უდევს თავისი საპატიო წილი.

„ისტორია — გვასწავლის ჩვენი დიდი ილია, — ყველას ეკუთვნის, მას ხომ ყველა ერთადა ჰქმნის და ვინც უნდა იყოს, გლენი, თავადი, ერი თუ ბერი, ისტორია ყველას ღვაწლია, საერთოდ მთელი ერის ნაოქმედარია და იგი მამა-პაპანი, რომელთაც თავისი სახელი ისტორიაში, ასე თუ ისე, მოუქცევია, ყველას მამა-პაპა, საერთოდ და განუყოფლად“. ამ გამარჯვებაში ეს უდავოა, საპატიო ალაგი უკავია იმ დიდ თაობას, რომელიც სასპარეზოდ სამოციან წლებში გამოვიდა ჩვენში, და უდავოა ისიც, რომ ამ თაობის უმესამჩნევესი ფიგურა, მისი სულის



ჩამდგმელი, ნიჭითა და მხნეობით უზენაესად ამალღებული — არის ჩვენი უკვდავი ილია ჭავჭავაძე!

საოცარის ხერხითა და ცოდნით გამოიყენა ილიას თაობამ ყველა ის საშუალებანი, რომელნიც იმ დროს მათ ხელთ იყო, ისეთის სიმწრით მოცემული, რათა საქართველოს საქმე გამოესწორებინათ. თვით ის დაწესებულებანიც კი, ქართველი ერის გასაქარწყლებლად და გასარუსებლად რომ შემოიღეს ჩვენში, ისინიც კი მოხერხებით იყო მოხმარებული, რათა ქართული სული ჩაებერნათ მათში. იყო ეს სკოლა, ეკლესიის ახალი წყობა თუ სხვა. ამნაირადვე გამოყენებულ იქმნენ მწერლობა, ჟურნალისტობა, საზოგადო მოღვაწეობა, ისტორიულ-არქეოლოგიური კვლევა ძიებანი და სხვა კულტურული საქმიანობა. რუსეთის სატახტო ქალაქების უნივერსიტეტებში ორმოციან და სამოციან წლებიდან დაწესებული საქართველოს სხვა და სხვა ხეობა-თემებიდან მოსული ქართველი ახალგაზრდობა, ამერ-იმერით დიდი ხნის განშორებულნი და გაყრილნი, აქამდე განმარტობით მომქმედნი, ერთად ხვდებოდნენ და ერთ ოჯახათ შედუღდნენ: თითქოს არასოდეს არ ყოფილან განშორებულნი! ახალ თაობებს ებადებოდა, უკეთ ვსთქვათ კვლავ უღვივდებოდა გრანობა და ლტოლვა ერთიანის და განუყოფელი საქართველოს, გორგალანების, დავით აღმაშენებლის და თამარის საქართველოს. და აი, ამ განმტკიცებულის სულით იწყებს ილიას თაობა ჩვენი ეროვნული საქმის გამობრუნებას. ამ ისტორიულ და საშვილისშვილო მუშაობაში უდიდესი ღვაწლი უკვდავ ილიას მიუძღვის და სწორედ იგი იყო ამ მაღალი მისიის შესასრულებლად უხვად დაჯილდოვებული ზეგარდმო მონიჭებულის ნიჭით, ცოდნით და უნარ-მხნეობით.

საქართველოში კვლავ იკავებს დიდსეულ და საპატიო ალაგს ქართული ენა და მწიგნობრობა. ახლად ჩნდება ჟურნალისტიკა - პუბლიცისტიკა, უხვად ჩნდებიან ქართული ხელოვნების ასპარეზზე მოღვაწენი, აღორძინდა ეროვნული თეატრი, ჩამოდიან ღრმა ცოდნით აღქურცილნი ქართველი მეცნიერნი, მათი სახელები უტახთშიაც არის ცნობილი. აქა-იქ, ქართველი მწერლების ნაწარმოებნი ითარგმნებიან ევროპულ ნებზედაც, ჩნდება ქართული საზოგადოებრივი საქმე, საზოგადოებრივი მოღვაწეობა საპატიო ალაგს პოულობს ჩვენში. რუსების მიერ პატივ აყრილი ქართული ეკლესია, ღონეს იკრებს და ემზადება ავტოკეფალიის აღდგენისათვის. თანდათან ჰქრება გარუსების გზაზე დამდგარი კარიერისტის ტიპი, სამაგიეროდ (სამსხვერპლოზედ გამოდიან სამშობლოსათვის თავდადებულნი, ერთი მათგანი ხომ მცხოვანი დიმიტრი ყიფიანია; ქართული მეურნეობა იწყებს ახალის გზით სვლას, უფრო ინტენსიურით, ჩნდებიან ვაქარ-მრეწველთა ახალი კადრები, საკრედიტო დაწესებულებანი; საზოგადოება ესწრაფება გამოვიდეს შინაურ კარჩაკეტილობიდან, ეჩვევა ეროვნულ და სოციალურ კითხვების ფართეთ დასახვას და დაყენებას, კერძოდ ეროვნულს კითხვაში იგი მოთმინებით ჯერ ერთობს და ავტონომიის შემოღებას მოითხოვს და ემზადება მომავალში უფრო დიდი ეტაპის გადალახვას. და ბოლოს, კვლავ იშვა მოუღრეკელი ნებისყოფის მატარებელი ქართველი, თავმოშორე და ამაყი თავისი ქართველობით.

ასეთი საქართველო დასტოვა დიდმა ილიამ, როცა იგი საუკუნოდ ჩაესვენა მისთვის უღროვოდ გათხრილ სამარეში.

საქართველოს მატინან აღნიშნავს თავის ფურცლებზე, რომ ამ განახლებულ საქართველოს დამყარებაში უდიდესი ღვაწლი უკვდავ

ილიას მიუძღვის, რომელიც ყველა ახალ დაწყებაში იყო არა მარტო მხნე და მტოდნე მუშაკი, არამედ პიონერი და დამწყებიც. ჩვენ ამ ჟამად აქ არ შეუდგებოდა ილიას დიდი ღვაწლის დაწვრილებით გადმოშლას. იგი ხომ საყოველთაოდ არის ქართველთაგან ცნობილი-აწონილი.

საქართველომ ისიც კარგად უწყის, თუ რა იყო ის გეზი, რომელსაც დიდი ილია ქავეჭავაძე ადგა მთელი 50 წლის მოღვაწეობის მანძილზე. ეს გეზი ყოველს საასპარეზო დარგში — ეროვნულს, სოციალურს თუ პოლიტიკურში, იყო ფართე პროგრესიული, მაშინდელის გამოთქმით ლიბერალური. დღიდან მისი საზოგადოებრივ, სამწერლო და პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსვლით, დიდის კულტურით და მაღალი ზნეობით დამწვენებელი, ილია, ერთნაირია, უცვლელი და ურყევი თვით სიკვდილამდე. აი, ამნაირი ადამიანი დაჰკარგა საქართველომ სწორედ იმ ისტორიულ გარდატეხის ხანაში, როდესაც ჩვენს სამშობლოს იმისი ხელმძღვანელობა ყველაზე უფრო მეტად ესაჭიროებოდა.

დღეს, ვიგონებთ რა გულის სიამაყით, რომ ჩვენმა ერმა, თავისი წიაღიდან შვა, ესოდენ დიდებული ადამიანი, და ვისხენებთ რა მადლობით იმ დიდ სამსახურს, რომელიც ილიამ თავის მშობელ ერს უძღვნა, მთელ საქართველოსთან ერთად ცრემლსაცა ვღვრივთ, მისი უდროვოდ დაკარგვისათვის.

აქი ამიტომაც ქართველმა ერმა სასოებით და სრულის შეგნებით დაასვენა თავისი საამაყო მოღვაწე, ილია, წმიდათა წმინდა ადგილას, მთელი ერის გულსა და ხსოვნაში, სადაც მიუღვამელ ისტორიის შერჩევით ასვენია ჩვენი უკვდავი გმირები, საქართველოს კერას, მის სახელსა და ღირსებას მუდამ მედგრად რომ იცავდნენ, და ზეგარდმო ნიჭით ცხებულნი, უძლიერესი და უუძლეველესი იარაღით, კალმის პატარა წვერით შეიარაღებულნი, რომ სახელს უხვეჭდნენ ყოველ ჟამს ჩვენს მშვენიერ სამშობლოს და ჩვენს ერს. აი, უკვდავთა ის წალკოტი, სადაც ილიას უკვე მიეკუთვნა თავისი ადგილი!

დიაღ, ამ ასი წლის წინეთ, საქართველოს მწუხრით მოცულ ცაზედ იშვა მნათობი, რომელმაც გაგვიხათა წყვილიდით მოღვნილი არე და ჩავვისახა იმედი და მხნეობა.

და ეს მნათობი არის დიდი ქართველი, ჩვენი უკვდავი ილია!

გიორგი შურუღლი

### თურქული იდეები

ამ წერილში ვეხებით ახალ ოსმალეთს, უფრო სწორედ იმ პოლიტიკურ იდეებს, რომელიც საფუძვლად უდევს ქემალ ათათურქის მოღვაწეობას და გამომხატველნი არიან განახლებული ოსმალეთის სულისკვეთებისა და მიზნებისა\*).

\*) სტატიის შესადგენად გამოყენებულია: 1) Roger Labonne—La Crise Orientale; 2) Revue du Monde Musulman — Le Panislamisme et le Pantouranisme; 3) G. Deny «Zia Goek Alp» — R. du M. Musulman; 4) Mme B. G. Gaulis — Angora, Constantinople; G. Gaulis — La Nouvelle Turquie; 5) L. de Contenson — La question turque vue de l'Asie.

ოსმალეთი გუშინდელი დიდი იმპერიაა. მსოფლიო ომის დასაწყისში ის სამ მატერიკზე გადაჭიმული, უთვალავ ერებისა და ქვეყნების მპყრობელი, მრავალ ათეულ მილიონიანი, ეთნიურად, კულტურულად, რასიულად და რელიგიით განსხვავებული მოსახლეობისაგან შესდგებოდა. ეს თვალუწვდენელი ქვეყანა, მრავალი ერის თავისუფლების მოსპობით, გადარჯულებით და ხშირად ფიზიკურად განადგურებით, საუკუნეების მანძილზე ცეცხლითა და მახვილით შექმნილი, არც ისე დიდი ხანია რომ ცენტრალურ ევროპამდე აღწევდა და მთელ დასავლეთ ევროპას შიშის ზარსა ჰგვრდა. მაგრამ ბუნების კანონებს თავისი გააქვს: ოტომანთა იმპერიის ზრდასა და განდიდებას განსაზღვრულ დონის მიღწევის შემდეგ ზღვარი დაედო და, ბოლოს დაცემისა და იმპერიის დაშლის პროცესიც დაიწყო.

მეოცე საუკუნის დასაწყისში ოსმალეთი ტერიტორიალურ - რიცხობრივად კვლავ პირველხარისხოვანი იმპერიაა, მაგრამ გარეგნული სიდიადე უკვე აღარ შეესაბამება შინაგან არსებას. დაწყებულია იმპერიის შემაკავშირებელი დულაბის გამოფიტვა და შენობის საძირკველი საკმაოდ დაზარალა, ირღვევა პარმონია შინაარსსა და გარეგნობას შორის — ოტომანთა იმპერია რთულსა და ღრმა შინაგან კრიზისს განიცდის. დრო მოქმული სოციალ-პოლიტიკური რეჟიმი, სახელმწიფო ორგანიზაციისა და ადმინისტრაციული აპარატის დროისა და პირობებისათვის შეუფერებლობა, საზოგადოებრივი სტრუქტურის საშუალო საუკუნოების ფორმაში გაყენვა, ეროვნებათა საკითხის გამწვავება და დაპყრობილი ერების ბუნებრივი ლტოლვა განთავისუფლებისაკენ, თვით თურქული, ე.ი. მპყრობელი ელემენტის კულტურული ჩამორჩენილობა, საკუთარი ეროვნული კულტურის უქონლობა და ინტერნაციონალური ცივილიზაციის გარეგნული სახით გატაცება, რელიგიური ფანატიზმი და ამ ნიადაგზე არა მაჰმადიანურ ქვეყნებისადმი დაუსრულებელი მტრობა — ყოველივე ეს, სვესებით ამართლებდა ოტომანთა იმპერიისათვის სწელთი ადამიანი ეწოდებინათ. შემდეგ მომხდარმა ამბებმა უდავოდ დაამტკიცეს, რომ ოტომანთა სახელმწიფო მძიმედ დაავადებული ყოფილა.

ყველა ზემოდ ჩამოთვლილი საკითხები, რომელთა გადაჭრას თვით ისტორიის ევოლუციის კანონები მოითხოვდა და კაცობრიობის განვითარების ლოლიკა პირველ რიგში აყენებდა, ოტომანთა იმპერიის მეთაურთათვის სრულიად გაუგებარი და მათი გონებისათვის დაუძლეველი აღმოჩნდა. მაგრამ სახელმწიფო აპარატს მხოლოდ დროებით შეეძლო ამ შევლენათა განვითარების შეფერხება, ხოლო საბოლოოდ შეჩერება, მის ძალას აღემატებოდა. რაც დრო გადიოდა კრიზისი ღრმავდებოდა. ბალკანეთის ომს წინ უსწრებდა მღევლარება მაკედონიაში. მაკედონელთა აშკარად თანაუგრძობდნენ ბერძნები, სერბები და ბულგარელები. ამას დაემატა მასიური აჯანყებანი ალბანეთსა და იემენში და სომხების ურყევი გადაწყვეტილება, ყოველი საშუალებით დაეცვათ თავიანთი ეროვნული და რელიგიური მებოა. ასეთ პირობებში საგარეო გართულება, ახალი ომი, ოტომანთა იმპერიას სანუგეშო პერსპექტივას ვერ უხატავდა. ცხადი იყო, რომ კრიზისი განიცდიდა თვით საძირკველი სახელმწიფოსი, თვით პრინციპი ოტომანიზმისა. ამას ვერ უშველა „მლადოთურქების“ ვადატრიალებამა და მათ მიერ ჩატარებულმა რეფორმებმაც.

ბალკანეთის ომი ოსმალეთის დიდი დამარცხებით თავდება. ოტომანთა იმპერია ერთბაშად ჰკარგავს თითქმის ყველა ევროპულ ვილაეტს და იძულებული ხდება აზიისაკენ დაიხიოს. ამ მოვლენამ დიდი გარდატეხა გამოიწვია ოსმალეთის ცხოვრებასა და აზროვნებაში. თურქულ ინტელიგენციაში ფეხს იკიდებს რევოლუციონისტული სულისკვეთება. იწყება წარსულის ახალიზი, შეცდომათა აღწესება და მოვლენათა გადაფასება. თურქების ევროპიდან განდევნა, თუ სამხედრო და საერთაშორისო პრესტიჟის თვალსაზრისით ოსმალეთისათვის უდავოდ საზარალო იყო, თურქული ეროვნული თვითშეგნების, საკუთარი ვინაობის დასანახავად, ამ მოვლენამ უაღრესად დადებითი შედეგები მოიტანა. საქმე იმაშია, რომ ბალკანეთის ომამდე სტამბოლელი თურქი შეუროყოფადაც კი სთვლიდა მისთვის აზიელი ევროპელებისათვის. მაგალითად, როდესაც ოსმალეთის ცნობილი მკვლევარი ვამბარი, კოსტანტინოპოლში წაქითხულ ლექციაში თურქების აზიელობას ამტკიცებდა, დამსწრე საზოგადოებამ მას პროტესტი განუცხადა: „აზიელ ველურებს, თურქესტანელებსა და ყირგიზებს გვადარებო!“ სტამბოლელ ბეის თავისი თავი უფრო ევროპიელად მოჰქონდა და აზიელობა სათაკილოდ მიაჩნდა ბალკანეთის ომში დამარცხებამ ამ მხრივ გადამწყვეტი მნიშვნელობა იქონია. თურქულ საზოგადოებაში თანდათან ძლიერდება შეგნება, რომ თურქი არც ევროპიელია და არც ოტომანი, არამედ წარმოშობით, შეგნებით, ბუნებით და სისხლით აზიელია. ჩამომავალია იმ რასის, რომელიც აზიის სივრცეებიდან, ერთ დროს, ევროპას იკლებდა და რომლის ნაშთიც გრძელ ჯაჭვად ბოსფორიდან ჩინეთის თურქესტანამდე აღწევს. ევროპიელ მეცნიერ-მკვლევართა, მაქს მიულერის, ვამბარის, დე გინიესის და სხვათა ეს აზრი, თანდათან თურქული ინტელიგენციის გონებას იპყრობს და ამ დრომდე თითო ოროლა ფანტაზიორის მორიდებული პროპაგანდა ძლიერდება, ფართოვდება და მძლავრ პოლიტიკურ მოძღვრებად ყალიბდება. ასე წარმოიშვა ის პოლიტიკური დოკტრინა, რომელსაც პანთურანიზმი ეწოდება.

აბდულ ჰამიდის მეტრძოლი პანისლამიზმი, (მისთვის რასიულ ნათესაობას დიდი მნიშვნელობა არა ჰქონდა. ის ოცნებობდა თავი მოეყარა ყველა მაჰმადიანური სარწმუნოების ხალხებისათვის და ალყირიდან ინდოეთამდე ერთი მაჰმადიანური იმპერია შეექმნა. ამ იმპერიის სატანტო ქალაქი იქნებოდა სტამბოლი და ხალიფი უნდა ყოფილიყო თვით ოსმალეთის სულთანს.) თავისი მიზნებით დაპირისპირებული ევროპიულ იმპერიებთან და ამიტომ განუხორციელებელი, თანდათან ასპარეზს უთმობს რასიულ პრინციპით, ერთი მოდგმის ხალხის პოლიტიკურად გაერთიანების მქადაგებელ პანთურანიზმს.

რა არის პანთურანიზმი, როგორია მისი პროგრამა და მიზნები?

პანთურანიზმი ეწოდება იმ პოლიტიკურ მოძღვრებას, რომლის მიზანია გაერთიანება ყველა თურანული რასის ხალხებისა ბოსფორის ნაპირებიდან შორეულ აღმოსავლეთამდე, ერთი მთლიანი თურანული სახელმწიფოს შესაქმნელად. (თურანი გეოგრაფიული სახელწოდებაა იმ სივრცისა, ~~სადაც~~ აზიაში, რომელიც მდებარეობს მდინარე სირდარია და ამუდარიას მიდამოებში. მაგრამ პანთურანისტები ამ მცნებას, უფრო პოლიტიკურ მნიშვნელობას აძლევენ, ამიტომ, როგორც დაეინახავთ, მათ შეგნებაში თურანის საზღვრები გაცილებით შორს მიდის).

რომელ ტერიტორიაზე ფიქრობენ პანთურანისტები ამ ახალი სახე-



ლმწიფოს შექმნას და ვისა სთვლიან თურანული მოდგმის ხალხად?

ამ საკითხზე არსებობს ორი აზრი, და ამ ორი აზრის განვითარებამა და დაპირისპირებამ ჩამოაყალიბა ორი კონცეპცია. პირველი კონცეპციის მომხრეები, რომელთაც შეიძლება მაქსიმალისტები უწოდოთ, არიან უმთავრესად კავკასიელი პანთურანისტები. ამ მიმართულების ერთ ერთი მამამთავარი, კავკასიელი თათარი ალაევი ამ სახელმწიფოს ტერიტორიად სთვლის: ბალკანეთი, ყირიმი, კავკასია, მცირე აზია, ასტრახანი, სარატოვი, სამარა, ყაზანი, უფა, ორენბურგი, ციმბირი, მონღოლეთი, რუსული და ჩინური თურქესტანი, ბუხარა, ხივა, ხორასანი, კასპიის ზღვის სამხრეთი ნაპირები და ორივე ადერბეიჯანი.

მეორე კონცეპციის მიმდევრები, ოსმალო პანთურქისტები, კმაყოფილდებიან იმ ტერიტორიებით, რომელიც დასახლებულია თურანის მოდგმის წმინდა თურქული მოსახლეობით და ალაევის პროგრამას პრაქტიკულად ძნელად განსახორციელებლად სთვლიან. მათი ვაგებით ჯერ უნდა მოხდეს გაერთიანება მხოლოდ თურქული რასით დასახლებული ადგილებსა, ე.ი.: ცენტრალური და მცირე აზია, ციმბირი, ვოლგის ნაპირები, შავი ზღვის ნაპირები, კავკასია და ორივე ადერბეიჯანი; ამიტომ თავიანთ მოძრაობას სახელიც შეუცვალეს და უწოდებენ არა პანთურანიზმს, არამედ **პანთურქიზმს**.

ამ მოძღვრების მამამთავარი, ზია გეკ-ალპი, თავის წიგნში — „თურქიზმის საფუძვლები“ (1923 წ.) — აყალიბებს თავის კონცეპციას, ამტკიცებს პრაქტიკულად განხორციელების მიზნით პანთურქიზმის უპირატესობას და ამ მოძღვრების ცხოვრებაში გასატარებლად საჭიროდ მიანია შემდეგი სამი საფუძვლის გავლა:

1. **თურქიზმი ოსმალეთში** — გაწმენდა თურქული ენისა არაბული, სპარსული და ევროპული ენების გავლენისაგან და აღდგენა თურქული ძირებისა; შექმნა ნაციონალური კულტურის; ყველა არა თურქული მოდგმის ტომების მოსპობა ასიმილიაციით ან ოსმალეთის ტერიტორიიდან გაძევებით.

2. პირველ რიგში გაერთიანება ოღუზის ჩამომავალთაგან დასახლებული ქვეყნებისა — ორი ადერბეიჯანი, კავკასია და ოსმალეთი.

3. დანარჩენი თურქული მოდგმის ხალხები: თათრები, ყირგიზები, ბაშკირები, იაკუტები, ალტაის თათრები და სხვანი უნდა შემოერთებულ იქმნან მას შემდეგ, როცა მეორე მუხლში დასახლებული თურანული სახელმწიფოს ძირითადი ტერიტორია ერთ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდება.

პანთურქისტების ამ პროგრამასა და პანთურანისტების დებულებათა შორის არსებულ განსხვავებას, ჩვენის აზრით, უფრო საშინაო მნიშვნელობა აქვს და გამოწვეულია ერთი და იმავე მიზნის მისაღწევად საჭირო პრაქტიკული გეგმის არა საბოლოოდ დამუშავებით.

პანთურქისტული მოძღვრების გავლენა ახალ ოსმალეთში ერთობ დიდია. ამ მხრივ განუწყვეტელი პროპაგანდა სწარმოებს ყველა თურანული მოდგმის ხალხთა შორის. ამ მოძღვრებით გატაცება განსაკუთრებით შესამჩნევია ახალგაზრდებში, რომელნიც პატრიოტული გრძნობებით ანთებულნი, გამოცდილი მეთაურების ხელმძღვანელობით, მეთოდურად ამუშავებენ ხალხის შეგნებას, რომ აუცილებელია ერთ სახელმწიფოში თავმოყრა იმ ხალხებისა, რომელთაც წარსულში ჰქონიათ ერთი

სამშობლო და კაცობრიობისათვის მიუციათ ატილა, აღბ-არსლანი, თუ-რგოლა, ჩინგის ხანი და თემურ ლენგი (ტამერლანი).

პანთურქების პროპაგანდისტები, რასაკვირველია, არ იფიქრებენ ევროპიელ მეცნიერთა დებულებებს თურქული რასის წარმოშობის შესახებ და ლებონის, დიუროკპეიმის და სხვათა აზრებს ძალიან ოსტატურად იყენებენ. მათი აზრით მოცემულია ყველა საქირა პირობა, რომ ამ იღის განხორციელება თეორიულ მომზადებას ფაზიდან, პრაკტიკულად განხორციელების გზაზე შესდგეს. ყველა თურანის მოდგმის ხალხს უკვე შეგნებული აქვს ვინაობა, რასიული ერთობა, სისხლით ძობაო და ეს გარემოება საქმარის წინასწარ გარანტიად მიაჩნიათ, რომ შესაფერის საერთაშორისო კონიუნქტურის დროს, მათი მიზანი განხორციელდეს. პანთურქისტები ამბობენ: ეთნოლოგიურად, სოციოლოგიურად, ისტორიულად და ფსიქოლოგიურად ეს საკითხი დავას არ იწვევს, ხოლო პოლიტიკურად ამის განაღდება ოსმალების მოვადლეობა არის ოსმალითმა, როგორც თურანის რასის ერთად ერთმა სახელმწიფომ, უნდა იკისროს თავის მოძმეთა მოძრაობის მეთაურობა. მან უნდა ითამაშოს იგივე როლი, რაც პრუსიამ გერმანელ ხალხთა გასაერთიანებლად. ამისათვის მან უნდა შეარჩიოს და გამოიყენოს პირველივე ხელსაყრელი შემთხვევაო.

ასე აზროვნობენ და ასე ასაბუთებენ თავის მოთხოვნილებას პანთურქისტები. რას ფიქრობს ამის შესახებ ახალი ოსმალითის მეთაურობა, რა აზრის არის თვით ქემალი?

ჩვენთვის ეს საკითხი საინტერესო იმიტომ არის, რომ პანთურქისტების გეგმით მოხაზულ სახელმწიფოს საზღვრებში მთელი კავკასია ისევე უზოდიზოდ არის ჩატანებული, როგორც, მაგალითად, ანატოლიის ნაპირები ან მცირე აზია. სამუშაოდ, ქემალი ამ საკითხს, საფაროდ არ შეხებია, ამიტომ მისი აზრის გაგება, შესაძლებელია მხოლოდ ოსმალითში ჩატარებული რეფორმებისა და თვით ქემალიზმის დაკვირვებითა და ანალიზით. ქემალის ვრცელი რეფორმების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. დავასახელებთ მხოლოდ ყველაზე მნიშვნელოვანთ: სულთანატისა და ხალიფათის გაუქმება. ოსმალითის რესპუბლიკად გადაქცევა. საშუალო საუკუნოების კანიონდებლობის გაუქმება და ახალი კოდექსის დამუშავება. ქალების ემანსიპაცია და ჩადრის გაუქმება. რელიგიის სახელმწიფოდან გამოყოფა. არაბული შრიფტის ნაცვლად ლათინურის შემოღება. თურქული ენის გაწმენდა სპარსულ-არაბულ სიტყვებისაგან, ეროვნული კულტურისათვის საფუძვლის ჩაყრა, ეროვნებათა უმცირესობის საკითხის ლიკვიდაცია და სხვ.

მოვიგონოთ პანთურქისტების პროგრამის — ზია გეკალბის — პირველი მუხლი და ვხახავთ, რომ ქემალის რეფორმები, პანთურქისტული მოძღვრების ცხოვრებაში გატარდება. აქ ბევრი რამ პუნქტუალურად არის შესრულებული და ქემალის უღვა მიღწევებით, ჩვენს აზრით იმით აიხსნება, რომ მის პრაკტიკულ მოღვაწეობას წინ უსწრებდა პანთურქისტების დაუღალავი პროპაგანდა და თურქული საზოგადოება ფსიქოლოგიურად მომზადებული აღმოჩნდა ახალ ღონისძიებათა მისაღებად. შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ პანთურქისტების პროგრამის პირველი მუხლი, ქემალის მიერ უკვე განხორციელებულია. მეორე მუხლი კი, როგორც დავინახეთ შეიცავს: — „გაერთიანება ოსმალითთან ორი ადრბეიჯანისა და კავკასიისა“.

რა კეთდება ამ მიზნის მისაღწევად? სრულიად ობიექტური მო-

ვლენებიდან ირკვევა, რომ ამ მიმართულებით ოსმალეთში დიდი მუშაობა სწარმოებს.

ოსმალეთში ძალიან კარგად იციან, რომ კავკასია მარტო ოღუზის ჩამომავალთ არ ეკუთვნის — აქვე სცხოვრობენ ქართველები, სომხები და სხვა არა თურანული რასის ხალხები — და პანთურქისტული პროგრამის მეორე მუხლის განხორციელების მთელი სირთულეც სწორედ ამაშია. საქართველო, თავის არსებობით, ამ დიდი გეგმისათვის ხელის შემშლელი ელემენტია. ძალიან მისი მოსპობა, თუნდაც ოსმალეთისათვის ხელსაყრელ საერთაშორისო პირობებში, არც ისე ადვილია. ეს ოსმალეთმა წარსული გამოცდილებიდანაც კარგად იცის. მაგრამ სულ სხვა საკითხია, თუ ქართველობა ნებაყოფლობით მოექცევა ოსმალეთის გავლენის ქვეშ. ეს იქნებოდა იდეალური პირობა პანთურქისტული მიზნების მისაღწევად. მუშაობაც სწორედ ამ მიმართულებით სწარმოებს. სტამბოლში ამჟამად არსებობს, გარეგნულად აპოლიტიკური ორგანო ე. წ. „სუმერ კომიტეტი“. რომელსაც თავმჯდომარეობს თვით ქემალ ათათურქი. ეს კომიტეტი ძალიან ენერგიულად მუშაობს: იბეჭდება პოპულიარული ბროშურები, იმართება კრებები, იკითხება ლექციები და სხ. ქემალის თანამშრომლები ამტკიცებენ, რომ შავი ზღვის ნაპირები, ანატოლიიდან ვიდრე ყირიმამდე, ძველად დასახლებული ყოფილა სუმერებით და ამიტომ დღეს ამ სივრცეზე მომხიარვე ტომები ერთი ძირისანი არიანო.

ერთის შეხედვით, პანთურქიზმის პრინციპები და სუმერობის პროპაგანდა ერთმანეთს ვერ ეგუება, მაგრამ თუ მოვლენას ღრმად განვიხილავთ, ორივე ეს გზა ერთი მიზნისაკენ მიმავალია. მეორე პირველს აესება და არა თურანული რასის ხალხთა წინააღმდეგობის შენელებისა და დაყვავების მიზნით არის მოფიქრებული. ეს მთლიანი გეგმის ორი სხვა და სხვა გეზია. ძირითადი გეგმა კი კავკასიის ოსმალეთთან შემოერთებას გულისხმობს და ამ პუნქტში ოსმალეთის სახელმწიფოებრივი ინტერესები და პანთურქისტების მიზნები ერთმანეთს ემთხვევა.

ქართველ საზოგადოებას ერთი ხანია ყურადღებას უღწევენ, ზოგიერთი კავკასიელები, რომ ოსმალეთი, თითქოს თანაუგრძნობდეს რუსეთის საზღვრების დასაშორებლად, კავკასიისაგან ბუფერული სახელმწიფოს შექმნის იდეას. დღემდე არ არსებობს არც ერთი საბუთი ამ აზრის დასამტკიცებლად. ჩვენ ძალიან გვინდა, რომ ეს მართალი იყოს, მაგრამ ასე არ უფიქრია ოსმალეთს წარსულში და არა ფიქრობს დღესაც. ამის საბუთი კი მრავლად მოიპოვება. მას მულამ ერჩია ზურგი კავკასიის ქედზე ჰქონოდა მიბჯენილი და ჩრდილოეთის საზღვარი ამ ბუნებრივი ზღვდით შემოეხაზა. ასე ურჩევნია დღესაც.

ჩვენ ზემოდ აღვნიშნეთ, რომ ოსმალეთი გუშინდელი იმპერიაა, ამიტომ ბუნებრივია, რომ თურქულ აზროვნებაში წარსულის სიამაყე და კვლავ განდიდების სურვილი ცოცხალი იყოს. ამ ფსიქოლოგიური მოთხოვნილების გარდა, ოსმალეთის ეკონომიური ინტერესებიც აიძულებენ კულტურულად აღორძინებულმა, მოსახლეობა გამრავლებულმა და ომის ჭრილობათაგან მორჩინებულმა ქვეყანამ ახალი ასპარეზი მოიპოვოს. თუ მოვიგონებთ, რომ ოსმალეთი ამჟამად გარშემორტყმულია ევროპის მბრძანებელ სახელმწიფოთა ინტერესებთან უშუალოდ გადაბმული ქვეყნებით, დავინახავთ, რომ დასავლეთით, სამხრეთითა და აღმოსავლეთით, ოსმალეთს გზა მოჭრილი აქვს — ინგლის-საფრანგეთთან კონფლიქტზე ის ვერ წავა. რჩება ერთად ერთი, ჩრდილოეთის მიმარ-

თულება ე.ი. კავკასია. კავკასიის დაპყრობით ოსმალეთი აღწევს საუკუნობის ნაოცნებარს: იუმჯობესებს სტრატეგიულ მდგომარეობას, იძენს ეკონომიურ სიმდიდრეს და უშუალოდ ემბეზა ოღუზის ჩამოშალვით — ორივე ადერბეიჯანსა, დაღესტანსა და სხვა თურანული მოდგმის ხალხებს.

საფიქრებელია, რომ ოსმალეთი უკვე გრძნობს 1920—21 წ. ჩადენილ შეცდომას. მაშინ ქემალმა შედარებით იაფად დაუთმო კავკასია და საქართველო რუსეთს. შეიძლება იმ ვარაუდით, რომ ბოლშევიკური რეჟიმი ჩქარა დაინგროვდა. თუ არ ასეთი ანგარიშით, სხვაგვარად როგორ უნდა აიხსნას თვით ქემალის მიერ აღიარება, რომ ბოლშევიკებმა მასთან შეთანხმებით დაიკავეს კავკასია. მომყავს ეს სიტყვა, ქემალის მიერ თურქული დიდი ეროვნული ყრილობის წინაშე წარმოთქმული: „ბოლშევიკებმა — ამბობს ქემალი — თავიანთი გეგმის განხორციელების მიზნით მოგვმართეს ჩვენ დახმარებისათვის. მათ კარგად იცოდნენ რა სარგებლობის მოტანა შეეძლო თურქის ხალხს მათთვის. პირველი მათი ნაბიჯი იყო კავკასიის ფრონტზე გამოგზავნა მე-10 და მე-11 არმიებისა. ამ ჯვარებმა საკმაოდ ადვილად გამოთარეს ჩრდილოეთ კავკასია და ჩვენი დახმარებისა და ხელმძღვანელობის წყალობით დაიპირეს ადერბეიჯანი. ადერბეიჯანელები დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ ამ ჯვარებს, რომელთაც განაგრძეს საკირო ზომების მიღება ერთის მხრივ სომხეთისა და მეორეს მხრივ საქართველოს წინააღმდეგ“.

ეს ავტორიტეტული მოწმობა ნათელჰყოფს, რომ რუსეთ-ოსმალეთი საქართველოს შესახებ ბოლშევიკების კავკასიაში შემოსვლამდევე ყოფილან შეთანხმებული. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ ოსმალეთისათვის რუსეთის კავკასიაში ყოფნა სასურველია? არა, ეს ოსმალეთის ინტერესებს ეწინააღმდეგება, მაგრამ იმ დროს ისეთი საერთაშორისო მდგომარეობა იქმნებოდა, რომ შესაძლებელი იყო ევროპიულ სახელმწიფოთ კავკასიაში ფეხი მოედგათ, რაც ოსმალეთისათვის ამ მიმართულების სამუდამოდ გადარაზვა იქნებოდა. საკუთარი, ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი ძალებით ოსმალეთს ამ მოვლენისათვის ხელის შეშლა არ შეეძლო, ამიტომ არჩია ბოლშევიკებს წაეღოთ, რომელთა ბატონობის ასე გახანგრძლივებას მაშინ არავინ მოელოდა.

ბოლშევიკური რეჟიმის აღსასრულს ოსმალეთი იღესაც მოელის და ამ ჟამად მეტი ძალა შესწევს კავკასიური პრობლემა თავის სასარგებლოდ გადასჭრას. ამ მიზნის მისაღწევად არსებული ვრცელი გეგმის გამოძახილს ქართველი ემიგრაცია თავის რიგებშიაც ჰხედავს.

აღ. ცომაია

### „კავკასიის“ მიზნები

კავკასიურ და ქართულ ემიგრაციას ახალი საზრუნავი გაუჩნდა. ეს გახლავთ ჟურნალი „კავკასიის“ პოლიტიკა. ამ საგანზედ ბევრი ითქვა და დაიწერა, ყველა ქართულმა დაჯგუფებამ ეს პოლიტიკა უარყო. მიუხედავად ამისა, ჟურნალ „კავკასი“, ვითომ არაფერი მომხდარიყოს, აგრძელებს ძველ გზას და განაგრძობს მტკიცებას, რომ ის „ერთად ერთი კონფედერატიული ორგანოა“.



როგორც ვიცით, „კონფედერაცია“ ნებაყოფლობით, შეთანხმებით დამყარებული ფორმაა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამშრომლობასა და წინდარწინ გამოირიცხულია შემავალ წევრთა შორის ძალმომრეობა, ერთი მეორის შინაურ საქმეებში ჩარევა და მით უფრო, ერთი წევრის მიერ მეორისათვის თავისი სურვილების კარნახი. ასეთია კონფედერაციაში შემავალ სახელმწიფოთა ურთიერთობის გაგება საყოველთაოდ. თუ კონფედერაციის რომელიმე წევრი თანამშრომლობაზე უარს აცხადებს, დარჩენილ წევრთა შეთანხმებით იცვლება კონსტიტუცია, ან იშლება თვით კონფედერაცია.

კონფედერაციის ამ ნორმალურ გაგებას, ეტყობა ჩურჩალი „კავკაზი“ არ იზიარებს. პარტნიერებისადმი ლოიალური დამოკიდებულება და მათი აზრებისათვის ანგარიშის გაწევა ამ ორგანოს ზედმეტად მიაჩნია. მას სურს თავისი პოლიტიკა დანარჩენებისათვის სავალდებულო იყოს. „კავკაზის“ ასეთმა პრეტენზიამ და უტაქტობამ ათქმევინა სომხების ერთ ნაწილს, რომ „ჩვენი ადგილი რუსეთის ავანგარდში არისო“. ათეულ წელთა მანძილზე რუსეთის წინააღმდეგ თავის დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ სომხებს მეზობლის მტროვნობაზე გაომოქლავებამ ხელი ააღებინა წარმოებულ ბრძოლებზე და იგი რუსეთში წაიყვანა. მეტს ვერ ისურვებდა კავკასიის დამოუკიდებლობის ვერც ერთი აკტიური მტერი. „კავკაზმა“ ამას სულ მოკლე ხანში მიაღწია.

ამ საგულისხმო ფაქტს სათანადო დაფასება უნდა მისცენ დამოუკიდებლობისათვის მებრძოლმა კავკასიელმა ერებმა. საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ ბანი ბამატი არა ემყოფილდება ქართველების შინაურ საქმეებში ჩარევით, ჩვენი წარსული თუ აწმყო შეგინებით, ჩვენი მიწა-წყლის საკუთარი სურვილებისადმი დანაწილებით და სომხებისა და ქართველების ერთმანეთზე წაქეზებასაც ცდილობს: „ქართველებს სომხების ინტერესები ყარსის ოლქში მარტო მაშინ მოაგონდათ, როცა საკითხი ართვინ-არდაგანს შეეხო“.

ეს საპროვოკაციო განცხადება კომენტარიებს აღარ მოითხოვს. საჭიროდ კი მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ ქართველებს არც სომხების ინტერესები ყარსის ოლქში და არც ართვინ არდაგანი არასოდეს არ დავიწყებით, ხოლო არსებულ პირობებში ამ საკითხების წამოყენება დიდ პოლიტიკურ შეცდომათ მიგვაჩნდა და არც არასოდეს შევხებივართ, ვიდრე ბამატის უტიფრობამ ყველა საზღვარს არ გადააცილა.

„კავკაზი“ თავის თავს ანტიმარქსისტულ ორგანოსაც უწოდებს, თუმცა მთელი მისი ანტიმარქსისტობა მხოლოდ ქართველ მენშევიკებთან ბრძოლით ამოიწურება. მარქსიზმთან ბრძოლის საჭიროებით ამართლებს ბამატი ქართულ შინაურთიერთობის საკითხებში ჩარევასაც. დაუშვათ, რომ ბამატს უფლება აქვს ჩვენს შინაურ საკითხებზე „იზრუნოს“, ამ შემთხვევაში, თუ ის მართლა კავკასიელი პატრიოტია, საჭირო იყო მისგან დაგომობილი მენშევიკების გარდა, სხვა, ხამდელი საქართველო ენახა. ბამატმა მშვენიერად იცის, რომ თუ მენშევიზმი საქართველო არ არის, მით უმეტეს ვერ იქნება საქართველო ის ორიოდ ქართველი, რომლებიც ულუფის ძიებამ მის თანამშრომლებად აქცია.

მაგრამ მენშევიზმი და მენშევიკური მთავრობა აქ მხოლოდ საბაბია. „კავკაზის“ მიზანი მთელი საქართველოს დამდაბლება და ქართული პრესტიჟის დაცემაა. ამით აიხსნება ბანი ელექციონის მტკიცება, რომ „ქორდანის პოლიტიკა გაგრძელება იყო ქართველი მეფეების პოლი-





ტიკისა, რომელმაც კავკასია დალუბაო“. ეს დებულება „კავკასის“ ქართულმა ფილიალმა უფრო განავითარა და ერთბაშად ქართველი საზოგადოებრივობაც შეკვრალად გამოაცხადა. ერთი უპიროვნო ქართველი ცოცხლების შეურაცყოფითაც არა კმაყოფილდება და ჩვენს წმინდა საფლავებსაც კი შეაზოხნა.

„კავკასია“ № 4—11-ში ვკითხულობთ: „დამახასიათებელია ამ ორი დიდი ქართველის საუბარი\*. ახალგაზრდული ეროვნული ცეცხლით ანთებული გიორგი მაჩაბელი ამ ქართველ დიდ მოღვაწეს თავის გეგმას გადაუშლის. მისი თამამი გეგმით გაოცებული მოსაუბრე ეუბნება: გიორგი შენ ხელახლა მონათვლა გჭირდებაო“. ცოტა უფრო ქვევით იგივე ავტორი ბრძანებს: „აწ განსვენებულ ცნობილ ქართველ კაცს შემდეგ ფრაზასაც აწერენ: — რა დროს საქართველოზე ფიქრია, როდესაც პარიზს ყუმბარებს უშენნო“. და თურმე მთელ საქართველოში ეროვნულ ინტერესების გაგების სიმაღლეზე არავინ ყოფილა გარდა ბ. ჟორდანიასი, რომელსაც გ. მაჩაბლისათვის უბასუხნია — „თქვენ იქ იმუშავეთ და ჩვენ აქ ვნახავთ“. თუ ბამატის ამ ახალ მოახლეს დაუჯერებთ, იბადება კითხვა: რაღას ერჩის „კავკასი“ ბ-ნ ჟორდანიას, რომელსაც ღირსეული ქართველის პასუხი მიუცია გ. მაჩაბლისათვის, იმ დროს, როდესაც კოტე აფხაზი, თურმე, საქართველოზე სულაც არა პფიქრობდა!

მაგრამ მკითხველი დაგვეთანხმება, რომ ჟორდანია და მენშევიზმი აქ არაფერ შუაშია. ეს არის ბრძოლა მთელი საქართველოს წინააღმდეგ.

ამ ვერაგმა ქართველმა ბამატის ერთგულების დასამტკიცებლად არ დაზოგა ჩვენი წმინდათა წმინდა და რაღა გასაკვირია, რომ ვალმოხდისის (ბამატის წინაშე!) მედიდურებით გაჰკვივის: „ეროვნული ოპოზიციის დეაწლი რამოდენიმე ლამაზად წარმოთქმულ სიტყვაში ამოიწურაო“. აქ ყოველგვარი განმარტება ზედმეტია. „კავკასის“ მიზანი ზედმიწევნით სიცხადით არის გამოთქმული.

მენშევიკები, რომ სახელმწიფო მართველობისათვის მოუშალებლები აღმოჩნდნენ ეს დიდი ხნიდან ცნობილია. ხოლო „კავკასის“ იერიშები ეროვნულ საქართველოზე — საქართველოს მტრის ანგარიშებიდან წარმომდინარეობს. ამით მათ სურთ დამტკიცონ ერთობილი საქართველოს მოუშალებლობა დამოუკიდებელი არსებობისათვის და ნიადაგი მოუშალონ გარეშე ინტერვენციას. ეს გარეშე ძალაც ჩვენს „მოსავლელად“ რომ თავს შეიწუხებს, „კავკასის“ მიერ უკვე აღმოჩენილია. ამით აიხსნება მათი თავდასხმა ჩვენს აწმყოსა და წარსულზე.

„კავკასი“ რომ კავკასიურ მიზნებს ემსახურებოდეს, ის იძულებული იქნებოდა კავკასიის ისტორიისათვის ანგარიში გაეწია. ეს ისტორია კი ამბობს, რომ კავკასიას ბენდიერებისა და დიდების დღეები მხოლოდ ქართველი მეფეების უმაგალითო დეაწლის შედეგად ვახუცთია არც ერთხელ კავკასიას თავისუფლებისათვის ქართველ მეფეთა გარეშე არ მიუღწევია და პირიქითაც, როცა კი საქართველო დამარცხებულა, ეს კავკასიის დამარცხებაც ყოფილა. ეს მარტივი ქეშმარიტება, ეტყობა, ყველა კავკასიელ მოღვაწეს ვერ შეუგნია. ამით უნდა აიხსნას

\* ) სიტყვა ენება განსვენებულ გიორგი მაჩაბლისა და საქართველოს უზენაესობისათვის დალუბულ კოტე აფხაზის შეხვედრას.

ბამატისა და მისი მოპირდაპირე, პრომეთეს ფრონტის თანამშრომელი რასულ-ზადეს პოზიციათა მსგავსება. ბანი რასულ-ზადე, თავისი ჟურნალი „ყურტულუში“ს მარტის ნომერში აცხადებს: „ძირითადი ტაქტიკა კავკასიის ორგანიზაციისა, რომელშიდაც ჩვენ ვთანამშრომლობთ, დაშენებულია იმ პრინციპზე, რომ ჩვენი სამხრეთის მეზობელი არის ჩვენი მეგობარი. ამ ორგანიზაციამ უნდა მოახმაროს მთელი თავისი ძალა რუსეთთან ბრძოლას, რომელიც ფაქტიური მფლობელია ჩვენი ქვეყნებისა. არც ოსმალეთთან და არც ირანთან ჩვენ არა გვაქვს არავითარი სადაო სკითხი. სამხრეთის საზღვრების არსებული მდგომარეობის აღიარებაზეა დაშენებული ჩვენი თანამშრომლობა და ბრძოლა“-ო.

ხოლო ბ. ავალიშვილი, რომელმაც ბამატის თუ სხვა რამის პატივისცემით ქართულ ეროვნულ ინტერესებს ბრძოლა გამოუცხადა, რის გამოც ქართველი საზოგადოების გულისწყრომა და გაკიცხვა მიიღო, მენშევიკების შეერთდრონტე რასულ-ზადეს აზრით ყოფილა. რუსოფილი. „ბ. ავალიშვილი — ამბობს რასულ-ზადე — გამოდის აშკარა პროპაგანდით მთიელების გასარუსებლად“. ბ. ბამატის თანამემამულე პრომეთელები ფიქრობენ, რომ „კავკასის“ შეფმა, ბამატმა, ვერ დააარწმუნა და იქვები ვერ განუფანტა პროფესორის, რომ მთიელების მიერ აღმოსავლეთ კავკასიის თათრების (კუმუკები) ენის შეთვისება არა ნიშნავს გათათრებას (თურქიზაცია), რომ ეს ბუნებრივი საშუალებაა თავდაცვის და ყველაზე უკეთესი გადაწყვეტა ისეთი რთული პრობლემის, როგორიც არის ენა ჩრდილოეთ კავკასიაში“.

ამ განწყობილების ავტორი ბ. ავალიშვილიში სამხრეთის მეზობლის მტერსა ჰხედდა. მაგრამ ამაზედ უფრო გასაკვირი ქართველი მენშევიკების მდგომარეობაა. ისინი ებრძვიან ბამატს და მის ქართველ თანამშრომლებს ჩვენი ტერიტორიალური მთლიანობის დარღვევისათვის და არც ერთი სიტყვა არ წამოსცდენიათ რასულ-ზადეზე, რომელიც არსებითად ბამატის პოზიციას იცავს პრომეთეს ფრონტში. ეს გარემოება საუკუო ვაორებასა ჰქმნის. ამ საკითხისათვის ნათელის მოფენა მენშევიკების მოვალეობაა.

ასეთ მდგომარეობაში იმყოფება კავკასიური ემიგრაცია. ასეთია დამოკიდებულება ჩვენი მეზობლებისა ქართველებისადმი. ეს გარემოება არც ერთ ქართულ დაჯგუფებას მხედველობიდან არ გამოორჩენია. ყოველი ქართველი ერთნაირის ტკივილით განიცდის ჩვენს მეზობელთა ასეთ გამოსვლებს. მაგრამ დღემდე არავის უკისრია ამ მოვლენის წარმომშობი ნამდვილი მიზეზის მონახვა და აქედან ლოლიკურად გამომდინარე, ქართველისათვის სავალდებულო პრაქტიკული ნაბიჯის გადადგმა. ჩვენის აზრით, საქართველოზე გაბედული თავდასხმა და დღევანდლამდე ნავარაუდევ მეგობართა მტრული განწყობილება, ქართული დაშლილობის და ქართველ დაჯგუფებათა ერთი მეორისადმი მტრობის შედეგი არის. — ციხე შიგნიდანა ტყდებაო.

ჩვენ თითონ დავანგრით ჩვენი ციხე სიმაგრე — ქართული ერთობა, ჩვენ თითონ გაუხსენით მტრებს ჩვენზე სანავარდოთ კარები.

პოლიტიკურ დაჯგუფებათა თუ ცალკე პირთა ერთი მეორისადმი მტრობამ ყოველ მოლოდინს გადააცლია. ჯგუფურ თუ პირად ეგოისტურმა მიზნებმა დაჩრდილა საქვეყნო მიზანი და ამის ტყვე ქართველები მზად არიან ყოველი დახმარება მიიღონ, საქართველოს ახლილი მტრისაგანაც კი, ოღონდ ერთი მეორეს მტრობა გაუწიონ, და ერთი მეორე



დააძაბუნონ. ამ გარემოებაში შექმნა ჩვენს მეზობელთა შორის აზრი, საქართველოს დაცემისა და დაცინებისა. ამ გარემოებამ მისცა მათ გამბედაობა ჩვენს შინაურ ურთიერთობაში ჩაერივნენ, მტყუანი და მართალი არჩიონ და თავისი ნება-სურვილი გვიკარნახონ.

გამოსავალი ერთად ერთია — ეს არის ქართული მთლიანობის აღდგენა.

ეს არის ერთად ერთი წამალი ქართული პრესტიჟის აღდგენისა და ჩვენი ეროვნული ცხოვრებისა და სახელმწიფოებრივი ინტერესების შეუვალობისათვის.

დრო არის ჯგუფურ ეგოიზმის ტყვეობაში მყოფ ქართველობამ თვალები გაახილოს, პასუხისმგებლობა იგრძნოს და სამშობლოს უზუნაეს მისწრაფებებს მორჩილება გამოუცხადოს.

მოვლენების განვითარება ჩვენ არ გვიცდის. საქირო არის ყოველი ქართული დაჯგუფება თუ პოლიტიკური მოღვაწე ქართულ პოზიციებს დაუბრუნდეს.

თუ ქართული მთლიანობის დარღვევამ მოკავშირეთა და მეგობართა რიცხვი შემოგვიფანტა და მტრად გვიქცია, ქართული მთლიანობის აღდგენა ახალ, საიმედო პერსპექტივას გვიშლის წინ.

დ. სინჯიკაშვილი

## ახალი პროცესების მოლოდინში

საბჭოთა რუსეთში მოწყობილ პროცესების შესახებ ბევრი ითქვა და დაიწერა. ჩვენ ამ პროცესებს უბრუნდებით სულ სხვა მიზნით. არსებობს ერთი საინტერესო თქმულება ტანზანიაში გლეხის ქალის შესახებ, რომელმაც, თავის ცხოვრებაში პირველად ნახა აქლემი ზოოლოგიურ ბაღში. გაოცებულმა ქალმა ხელეები ალაპყრო და შესძახა: „ღმერთო შეაჩვენე ეს ბოლშევიკები, ცხენისაგან რა მახინჯი არსება შეუქმნიათ“. ეს თქმულება გვაგონდება მოსკოვის პროცესების გამო. ამ პროცესების არტიტებს, ყველას განურჩევლად, ბრალდებულსა თუ ბრალმძებელს, მოსამართლესა თუ მოწმეს, ისე ეჭირათ თავი, რომ იმ გლეხი ქალივით შეგვიძლია ვთქვათ: „ღმერთო, შეაჩვენე ეს ოლშევიკები, ადამიანებისაგან რა მახინჯი არსებანი შეუქმნიათ“!

გაუგებარია ბრალდებულთა არა ადამიანური საქციელი არა მარტო უბრალო მომკვდავთათვის, არამედ რჩეულთათვის ამა ქვეყნისა. მსოფლიო ფსიქოლოგები, ფიზიოლოგები, ფსიქოანალიტიკები, კლსიკობატოლოგები, რომელთათვის ცნობილია ადამიანის ფსიქიური და ქვეფსიქიური სამყაროს საიდუმლოებანი, ვერ იძლევიან მინიმალურ ახსნა-განმარტებას, თუ როგორ შეიძლება ადამიანთაგან შეიქმნას ისეთი არსებანი, რომელნიც ჩვენ ვნახეთ მოსკოვის პროცესებზე. როგორ გახდა შესაძლებელი ადამიანთა ასეთი მეტამორფოზა? ბრალდებულთა გარდაქმნის მიზეზს ბევრი ეძებს იმ საერთო მორალურ ატმოსფეროში, რომლითაც სუნთქავენ მთელი საბჭოთა რუსეთი. რომ ბრალდებულთაპიროვნების შლა-ხრწნა და მათში ყოველივე ადამიანურის განადგურება იწყება არა მათი დატყვევებიდან, არამედ იმ ეპო-



ქიდან, როდესაც ისინი ჯარ კიდევ ძალაუფლების სათავეში ბრძანდებოდნენ და იზიარებდნენ ხელისუფლების შასხისმგებლობას. ქლესაც მილიონობით მოიპოვებია ისეთი არსებანი, რომელთაც რიკოვკამეხევის და ზინოვიევი-ბუხარინის მსგავსად, ეყოვის და ვიშინსკის მოთხოვნისგან შუღლიათ საუკეთესოდ დიქირონ გამოცდა სამაგალითო ბრალდებულისა.

ამ დარგში, საბჭოთა რუსეთში, უდაოდ დიდი საერთო მომზადება აქვთ. იქ ყოველ მოქალაქეს სისხლში და ხორცში აქვს გამჯდარი ის ტრადიული კალამბური, რომლის წყალობით შეგნებულ ადამიანად მხოლოდ ის ითვლება, ვინც მუდამ მზად არის ყველაფერი „ამხილოს“, ყველაფერში „გამოტყდეს“ და ყველა დააბეზლოს. ამას დაემატა ციხეში ჯდომა, მორალური და ფიზიკური წყალება, შთაგონება და დაშინება, რაც სწამლავს ადამიანის სულს და უკარგავს მას თავისებურებას. ადამიანი ჰკარგავს თავის თავისადმი პატივისცემას. მისი მორალური „ში“ შერყვნილია, გონება დაჩლუნგებული, კედება მისი სინიდიხი. მას იპყრობს აპატია, ის ინდიფერენტულია ყველაფრისადმი. ჰკარგავს პიროვნებას და მზად არის იმოქმედოს, როგორც მოითხოვს დამსჯელი რეჟიმი. როდესაც ადამიანი ჰკარგავს თავის თავისადმი პატივისცემას, მის სინიდიხზე და ნებისყოფაზე ხედმოქმედების შესაძლებლობა ზღვარსდებელია. ასე გვასწავლის ფსიქო-ანალიტიკა და ფსიქო-პათოლოგია.

ამ დებულების შესახებ დავას ჩვენ ვერ გავბედავთ. ჩვენთვის, როგორც ქართველებისათვის მეტად ჭაინტერესოა ერთი საკითხი: რითი აიხსნება, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ შესძლო სურვილისამებრ ჩატარებინა პროცესები რუსეთის გულში. და ეს ვერ შესძლო, მიუხედავად დიდი ინტერესისა, საქართველოში. რით აიხსნება, რომ ბოლშევიზმის თვით შემოქმედნი ზინოვიევი, ბუხარინი, კამენევი, რიკოვი და სხვ. გააბახეს, ღირსება ახადეს, ჯამუშებდნენ და მოლაპტებდნენ თავი გამოაცხდებინეს დ ქართველ კომუნისტებს კი წარბიკ ვერ შეახრევიან, ქელი ვერ მოუხარეს და ვერ მოსტეხეს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ მოვლენის ახსნა, მხოლოდ ამ ორი ერის შვილთა ფსიქოლოგიაში უნდა ვეძიოთ. სხვა გვარად რომ ესთქვათ, აქ მოხდა შეხეთქება რუსული და ქართული პარსონალიზმის, მისი გამძლეობის და სიმტკიცის. ეს იყო ორი რასის სულიერ თვისებათა დაპირისპირება. რუსის ადამიანში თავის თავადობის დაცვის სურვილი, თუ ინსტიქტი, მცირეა. ის არ არის ჩამოყალიბებული, დამთავრებული პიროვნება, ინდივიდუალურ და საზოგადოებრივ ღირსებათა განსაზღვრულ კომპლექსის მატარებელი. ქართველი კი სადაც არ უნდა იყოს ის და ვინც არ უნდა იყოს, ყველგან და ყოველთვის უდრის თავის თავს. თავის პიროვნების დაცვაში ის მტკიცეა, მძლე, ამაყი და თავმოყვარე. თავის თავადობის შენახვა კი დიდ ტკივილებთან და ბევრ დაბრკოლებებთან არის დაკავშირებული. მისი დაცვა რაინდული თვისებათაგანია. ქართული ფსიქოლოგიის ეს თვისებები — რაინდული ფსიქოლოგიის თვისებებია. ამ თვისებების წყალობით ქედმაღლობს დღეს იოსებ ჯუღლაშვილი და ამ თვისებათა წყალობით გაიმარჯვა მან მშვიდარა ტროცკიზე და უპიროვნო ბუხარინ-რიკოვზე.

ამ ბუნებრივ თვისებათა წყალობით ჩვენ მრავალჯერ თავი გადავირჩინეთ, მრავალჯერ დავწინაურდით. თუ ეს თვისებები შევიხახეთ და ღირსეულად მოუარეთ, მომავალშიაც გადავვარჩენს და დაგ-



ვაწინაურებს, შეგვაძლებინებს ვსაქვეათ ქართველ პოეტთან ერთად:

„ბევრი მოსულან, ბევრი წასულან,  
კვლავ ბევრი მოვლენ და წავლენ კვლავა,  
მხოლოდ ქართველი აქვე დარჩება,  
მხოლოდ ქართველი არსად არ წავა!“

მ. კალანდაძე



## ოქროს მხრძი

ეოლის ჩამომავალი მეფე ათმასი, რომელიც თებესში მბრძანებლობდა თავის მეუღლე ინოს დამორდა და ნეფელე შეერთო, რომლისგანაც ეყოლა ორი შვილი: ვაჟი ფრიქსოსი და ქალიშვილი ჰელე.

ერთ მშვენიერ დღეს ნეფელე ჰელიდან შეირა და სადღაც გადაიკარგა. მეფემ ისევ იხო დაიბრუნა, რომლისგანაც აგრეთვე შეეძინა შვილი. დიდ ხანს არ გაუვლია და გერეებისადმი სიძულვილის მქონე დედოფალმა წინასწარ მოსყიდულ ქურუმებს ნეფელეს შვილების დეფისადმი ზვარაკად შეწირვა მოათხოვინა. ხოლო როდესაც ეს განწირულნი ცეცხლს უნდა შთაენთქა, ამ საბრალოთა მოსაშველებლად გამოჩნდა მათი გულშემატკივარი დედა ნეფელე, რომელიც ღრუბლად იქცა და მსუხნავ ქურუმებს შვილები უძუმბად მოჰპარა. შესვა ოქროს ვერძზე და გაისტუმრა კოლხიდისაკენ, სადაც მაშინ მეფობდა მათი ნათესავი ჰაეტესი ანუ იათასი (ამ მეფეს ჩვენ, ქვემოდ, როგორც მიღებულია უწოდებთ ოტიას). მგზავრობის დროს ჰელე ზღვაში დაიხრჩო, ხოლო კოლხიდაში უვნებლად ჩასულმა ფრიქსოსმა თავისი ოქროს ვერძი ზევს (იუპიტერს) შესწირა; მისი ოქროს ბეწვიანი ტყავი კი მეფე ოტიამ მარსის ველზე მდგარ მუხის ქვეშ ჩამოჰკიდა და მცველებად მიუჩინა ერთი გველეშაპი და ორი ფოლადის ფეხებიანი კურო. ფრიქსოსი სასახლის კარზე მიიღო და ცოლად შერთო თავისი ქალიშვილი კალციოპე. მაგრამ რამოდენიმე ხნის შემდეგ მეფემ, რატომღაც თავისი სიძე სიკვდილით დასაჯა და მისი შვილები სამეფოდან განდევნა. მეფის ასეთმა საქციელმა მთელი საბერძნეთი ააღელვა და შურის საძიებლად, და ოქროს ბეწვის თუკან დასაბრუნებლად, კოლხიდაში ექსპედიციის გაუზავნის აზრით დაიბადა, მაგრამ მისი ხელმძღვანელობის აღებას ვერავენ ბედავდა, რადგან ომში გამობრძმედილი კოლხებისა და მათი მეფე ოტიას წინააღმდეგ ბრძოლა დიდად სახიფათოდ მიაჩნდათ.

სწორედ ამ დროს, უზურპატორ პელიასის მიერ იოლქოს ტახტიდან ჩამოგდებული ეზონის შვილი იასონი (იაზონი), კენტავრი ქირონის მიერ პელიონის მთაში საიღუმლოდ გამოზრდილი, სამეფოში დაბრუნდა. მაცდურმა პელიასმა ტახტის ამ მემკვიდრის თავიდან მოსაშორებლად, მას შესთავაზა კოლხიდაში მიმავალი ექსპედიციის მეთაურობა. დარწმუნებულმა, რომ იასონი იქ დაიღუპებოდა, ფიციც დაუდო, რომ კოლხიდიდან დაბრუნებულს ტახტს დაუბრუნებდა. სახელის მძიებელმა ჰაბუქმა იასონმა თავი მოუყარა რჩეულ გმირებს, რომელთა შორის არიან ჰერკულესი, ორფეოსი, ლიკურგის შვილი ანსე და სხვ.

გააშენებინა საგანგებო გემი „არგო“-დ წოდებული, და გაემგზავრა კოლხიდისაკენ. ეს არგონავთები ჯერ მიადგნენ ამაზონებით დასახლებულ ლემნოს კუნძულს და თითქმის ორი წელიწადი განცხრომაში გაატარეს ამ უმამაკაციო და რჩენილ ქალების სამეფოში. შემდეგ ვზას აგრძელებენ, აქა იქ ომებსაც აწარმოებენ, ხოლო პატარა მესიაში შესვენებულ რატომღაც პერკულესი შორდება და უკან ბრუნდება. დანარჩენები მეფე ფინესის მიერ ნაჩვენები შიშართულებით აღწევენ პონტ-ევქსანის (შავი ზღვა) გასაღას, რომელსაც დიდი წვავლებით და ნებტუნის უანგარო დახმარებით გადალახავენ. გაუვლიან მრავალ ქვეყნებს და სხვათა შორის ქალიბებს ან ხალიბებს. (ეს სიტყვა, რომელიც უნდა წარმოსდგებოდეს თვით ხალხის სახელიდან, ბერძნულად ნიშნავს ფოლადს), ხალხს, რომლებსაც სხვა საქმე არა ჰქონდათ, გარდა მიწის სიღრმიდან რკინის მადანის ამოღებისა და გადამუშავებისა. აქ, ზღვაზე ისინი შეხვდნენ კოლხიდიდან გამოძევებულ ფსიქსოსის შვილებს, რომელნიც მეფე ოტიას სამეფო კარის ზნე-ჩვეულებათა კარგად მცოდნენი იყვნენ და ამიტომ იასონისათვის დიდი დახმარების გაწევა შეეძლოთ. ისინი უერთდებიან ექსპედიციას. გაიარეს თუ არა მარკონელების, საპირების და ბიზერების ქვეყნები (ეს ქვეყნები ძველ კოლხიდაში შედიოდნენ), გამოჩნდა კავკასიის მთების ის მწვერვალები, სადაც ოდესღაც, მიჯაჭვულ ცეცხლს ქურ პრომეთეს, ყვავ-ყორანი ვულკანის უკვარტნიდა. ბოლოს მიაღწიეს კოლხეთის იმ ადგილამდე, სადაც მთებიდან წამოსული მდ. ფაზისი (რიონი), თავის ოქროს ნარევე ქვიშას შავ ზღვას უერთებდა. შეუხვიეს ამ მდინარეში, რომლის მარცხნივ მოსჩანდა კოლხიდის მშვენიერი დედა ქალაქი ჰეა\*). ხოლო მარჯვნივ კი ის მარსის ველი, სადაც მოწიწებით ინახებოდა თვით ოქროს ბეწვი. რამოდენიმე მანძილის გაველის შემდეგ თავიანთი „არგო“ მიაბეს ლერწამით დაბურულ ნაპირს. აქ იასონმა კოლხიდის აწიოკებაზე ფიქრს, რატომღაც თავი დაანება და მხოლოდ და მხოლოდ ოქროს ბეწვის ხელში ჩაგდებათ დაინტერესებული, ფრიქსოსის შვილებითურთ ქალაქ ჰეასაკენ გაემართა, მეფე ოტიასთან საქმის მშვიდობით მოსაგვარებლად. მიუახლოვდა თუ არა მეფის სასახლეს, მის თვალწინ გადაიშალა ჯერ უხილავი სიმშვენიერის მქონე ალაყაფის კარები და მისი შენობა — სუფთად ამოქანდაკებული ჩუქურთმებიანი ურიცხვი ქვის სვეტებით გარშემორტყმული, რომელთა სიმალიდან გადმოიყურებოდა ბრინჯაოს პუსლებზე დაყრდნობილი განიერი ღერეფანი.

იქვე ახლოს იყო მწყობრი ვაზისაგან ლამაზად დაწნული ტალავერი, რომლის ჩრდილი, თურმე, ეფინებოდა თვით ულკანის მიერ მოწყობილ ოთხ შადრევანს, რომელთაგან პირველი ორიდან სჩქედდა რძე და ღვინო, ვით მთიდან ჩამოვარდნილი წყარო; მესამე იძლეოდა საყნოსავად საამურ, სურნელოვან ზეთს, ხოლო უკანასკნელი — ზამთარში თბილსა და ზაფხულში ცივს და ანაკარა წყალს. სუფთა ეხოში მარჯვნივ და მარცხნივ მან იხილა იშვიათი სილამაზის ორი სასახლე, ძვირფასი და მხატვრულად შესრულებული კარებებით დამშვენებული. მთა-

\*) ეს ქალაქი უნდა იყოს ლაზების არქეოპოლისი, ხოლო ღღევანდელი ნოქალაქევი და არა ქუთაისი, როგორც ზოგიერთებს ჰგონიათ. ამას გვეუბნება მისი მშვენიერი ნანგრევები, სამკურნალო წყლები, და მის მახლობლად მდებარე მთა, რომელიც დედა-მუხად იწოდება. ა. მ.



ვარ სასახლეში ბრძანდებოდა თვით მეფე, ხოლო პატარაში კი კოლხიდის ტახტის მემკვიდრე აბსირტოსი — ეს ის შეუღარებელი გარეგნობის პრინცია, რომელსაც ზედმეტ სახელად უწოდებდნენ აგრეთვე ბიძამისის სახელს — ფაეტონს. იმავე სასახლის დანარჩენი ნაწილები ეკავათ მეფის ორ ქალიშვილს: ფრიქსოსის ქვრივი კალციოპეს და ჰეკატეს ტაძრის მონაზონს მედეას, მისი მამიდა ცირცეს მიერ ექიმად გამოწოდეს.

ამ უცხო სანახაობებით გატაცებული იასონი ჯერ კიდევ ეზოში იყო, როდესაც ჩვენი მონაზონი ქალის, მედეას გული მისმა სიყვარულმა შეიპყრო. ბოლოს, სტუმრები მეფემ სადილად მოიწვია და ჩამოსვლის მიზეზი გამოჰკითხა. პასუხის მოსმენამ მეფე გააბრაზა და დაახლოებით ასე მიმართა: აჰა! თქვენ მარტო იმისათვის კი არ ჩამოსულხართ, რომ ეს ძვირფასი განძი უკან წაიღოთ, არამედ აზრად, ალბათ ისიცა გაქვთ, რომ სამეფო ტახტსაც შემეცილოთ! დღეს რომ ჩემ სუფრასთან არ ისხდეთ, თვითეულთ თქვენგანს თვალებს დაგთხრიდით, ენას, ხელ-ფეხს ზედ მოგაჭრიდით და ასე დასახიზრებულებს თქვენნი სამშობლოსაკენ გავაგზავნიდით, რომ დანარჩენ ბერძნებს კოლხიდისაკენ ცხვირი აღარ ექნათო. მაგრამ დაფიქრების შემდეგ მეფემ არჩია ისინი უმტკივნეულოდ თავიდან მოეშორებინა და მათი თხოვნის დაკმაყოფილებაც აღუთქვა იმ პირობით, თუ ისინი მარსის ველზე მოდარაჯე მხეც კუროებს დაიმორჩილებდნენ. მათ იქვე უნდა მოეხნათ ოთხი ქცევა მიწა, დაეთესათ კამბუსის მიერ მოკლული გველეშაპის სასწაულთ მომქმედი კბილები და დაედგიათ ამ კბილების ნაყოფად ამოსული ჯარის კაცები. და, ბოლოს, თუ კი იასონი შემუსრავდა ძვირფასი განძის მეთვალყურე გველეშაპსაც.

გულთმისანი მედეას ძვირფასი დახმარებით წინდაწინ გამარჯვება უზრუნველყოფილმა იასონმა მეფის პირობები უყოყმანოდ მიიღო... დაღამებისთანავე გაეშურა ჰეკატეს ტაძარში, სადაც კოლხეთის პრინცესამ, მედეამ, საჭირო დარიგებასთან ერთად, გადასცა მის მიერ გამოხდილი სასწაულთმომქმედი სასმელი-ვათენებისას, ვათამამებული იასონი მარსის ველზე გაჩნდა, სადაც მას ზღვება სიერის საყურებლად მოზგავებულ ხალხთან ერთად თვით მეფე ოტიაც, მოელვარე ოქროს გვირგვინით თავდახურული და უზარმაზარი შუბით შეიარაღებული. ბერძენი საქმიანობას შეუდგა: მეფის პირობები ყველა სისრულეში მოიყვანა. ამ ზეადამიანური მოქმედების შემყურე მეფეს დაღატის სუნი ეცა და თადარიგის მისაღებად სასახლისაკენ გაეშურა. ამით ისარგებლა მედეამ, თავისი მზაკვრული შელოცვებით გველეშაპი მოადუნა, ინელთა ოქროს ბეწვიანი ტყავი და საყვარლითურთ მიემატა ვასაქცევად გამზადებულ უცხოელებს, რომლებმაც „არგოს“ ნიჩბები მოუსვენს და უვნებლად ზღვაზე გავიდნენ.

კოლხიდის ტახტის მემკვიდრე აბსირტმა შეჰყარა თავისი სამეფოს ურიცხვი ზომალდები, რომელთა სიმრავლე, თურმე, ზღვაზე ფრინველთა ხროვას მოგაგონებდათ, და ერთი ნაწილი ბოსფორის მიმართულენით გაისტუმრა, მეორეთი კი თითონ დაედევნა ისტერის (დუნაი) მიმართულენით წასულ ბერძნებს, მისი ცქვიტი მეომრების წყალობით, გაქცეულებს წინ გაუსწრო და ადრიატიკის ზღვაზე მდებარე კუნძულები დაიჭირა. დაგვიანებით აქ მისულმა ბერძნებმა, დაინახეს რა, რომ გზა გადაჭრილი ჰქონდათ, თავი შეაფარეს დიანას საუფლისწულო კუნძულ-



ლებს, რომელთა დაკავება აბსირტმა, ამ ღვთაების პატივისცემით არ მოისურვა. ბერძნები უნდა ჩაბარებულყვნენ, რომ აქაც, ბელშავ მედეას ძმის მიმართ ღალატი არ ჩაედინა: მან აბსირტი, მარტო მოტყუა დიანას ტაძარში, სადაც ჩასაფრებულმა იასონმა, მიპარვით, ხანჯალი ჩასცა ზურგში და სიცოცხლეს გამოასალმა. ამ მიდამოებს ამ შემთხვევის აღსანიშნავად უბედური კოლხიდის პრინცის სახელი დაერქვა — დღეს ირინელთა კუნძულები.

სარდლის დაკარგვით თავზარდაცემულ კოლხებს ბერძნები ხელიდან გაუხსლლად და მეფე ოტიას რისხვის თავიდან ასაშორებლად, იქვე დასახლება არჩიეს და დიდხანს აბსირტილებად იწოდებოდნენ\*).

ფაეტონის ცოდვით დატვირთულ ბერძნებს გზა დაეხანათ და წააწყდნენ ჰეას ნავთსადგურს (დღევანდელი ტრიპოლი), სადაც იმ დროს ბინადრობდა ჰაეტეს და ცირცე ანუ სირსე, რომლის წყევლა კრულვამ მათ გზა-კვალი კიდევ ერთხელ აურია და ბოლოს მიიყვანა ფეასიენლების ქვეყანაში (კორფუ), სადაც მათთვის მოულოდნელად გამოჩნდა ბოსფორის მიმართულებით წამოსული კოლხების ჯარი, რომელმაც იქაურ მეფე აღსიონას, ქვეყნის აწიოკებით მუქარით, მოსთხოვა დაუყონებლივ მედეას მათთვის გადაცემა. ასეთი მოთხოვნის მიხედვით სასოწარკვეთილმა მეფის მეუღლემ იასონს და მედეას საჩქაროდ ჯვარი დასწერა და ამით კოლხებს ამ პრინცესაზე ყოველგვარი უფლება აპყარა. ოტიას წინაშე ხელცარიელად გამოჩენა ვერც ამით გაპბედეს და დაბინდნენ ჯერ ფეასიენლთა შორის, ხოლო შემდეგ გადაიხიზნენ ნესტიენლების ქვეყანაში და ქ. ორიკუმში.

ბოლოს და ბოლოს, დიდის ვაი ვაგლახით თეზალიაში ჩასულ გმირებს მთელი საბერძნეთი დიდის ზეიმით შეხვდა. იასონმა თავისი „არგო“ ნუბტუნს შესწირა. მედემ მისი მეუღლის ღრმად მოხუცებულ მამას, ეზონს, სისხლი შეუცვალა და გააანალგაზრდავა. რაც შეეხება სამეფო ტახტს, უზურპატორმა პელიასმა პირობა არ შეასრულა და გამარჯვებულ გმირს უარი უთხრა: იმედ დაკარგული ცოლქმარი კორინთაში გადაიხიზნენ, სადაც უყოლათ ორი შვილი. განვლო დროი. იასონმა დავიწყებას მისცა დადებული ფიციც და მედეას მიერ მისთვის გაწეული სამსახურიც: მას გაეყარა და მის ნაცვლად შეირთო იქაური მეფე კრეტონის ქალიშვილი კრეუზა. ევრიპიდეს თქმით, კოლხეთის ამაყმა პრინცესამ ასეთი შეურაცყოფა იუკადრისა და თავის მოქიშპეს გაუგზავნა ძვირფასი, მაგრამ მოჯადოებული სამკაულები, რომელთა შენებაზე კრეუზას ცეცხლის ალი მოედო და მის მისამველმლად მისულ მეფე კრეტონთან ერთად საშინელ წვალებაში სული აღმოჩნდა. თვითონ კი, იმავე ევრიპიდეს ვერსიით, იასონის დასატანჯავად მოჰკლა თავისი ორი შვილი, დასწყევლა უღირსი ქმარი და გრძნეული ეტლით თებეში გაიქცა. აქედან კი ათინის სამეფო ტახტის ხელში ჩაგდებას მიზნით, იქაურ მეფე ეგეს ესტუმრა. მაგრამ ამ მეფის შვილის, თეზეს ძლიერებამ მას იმედი დაუკარგა და ბოლოს აზიაში გადახვეწილი, მისთხოვდა იქაურ ერთ-ერთ ძლიერ მეფეს. მისგან კიდევ ერთი ვაჟი ეყოლება, მედოსად წოდებული. ამ უკანასკნელმა სამეფო ტახტზე ასვლისთანავე, თავის

\*) გადმოგვცემენ, რომ იმათ აქ ააშენეს ქალაქი და სახელად უწოდეს პოლა, სიტყვა კოლხური ენით, თითქოს ლტოლვილს უღრიდეს. ეს ქალაქი დღესაც ამ სახელწოდებით არსებობს და ეკუთვნის იტალიას.

დედის საპატივედ მოლოდ სამეფოს მედია დაარქვა. რაც შეეხება მედეას მიერ სასტიკად დასჯილ იასონს, მან, ბინა და საარსებო წყაროს მოკლებულმა, თავი შეაფარა ზღვის ნაპირას დატოვებულ „არგოს“. ერთ დღეს წამოწოლილ გმირს, გემიდან ჩამოვარდნილი სვეტი დაეცა და თავი გაუქვლიტა — ძვირად დაუჯდა ფიცის გატეხა!

აი, მოკლედ, ის ვრცელი ამბავი, რომლის მოგონება ჩვენ დაგვჭირდა იმისათვის, რომ რამოდენიმე სიტყვა გვეთქვა ამ უცნაურ ოქროს ვერძზე და არგონავტების კოლხიდაში ჩასვლის ნამდვილ მიზეზზე.

თუ ოქროს ვერძის რაობაზე დავა დღესაც დამთავრებული არ არის, სამაგიეროდ არგონავტების ექსპედიციის სინამდვილეში იქვე უკვე აღარავის ეპარება და ისტორიული წყაროებით დამტკიცებულია, რომ ეს ამბავი წინ უძღოდა ტროადის განთქმულ ბრძოლას. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ არგონავტების ექსპედიციის ზოგიერთი მონაწილენი ტროადის ომში გვხვდებიან იმ განთქმულ ახილესთან ერთად, რომელიც ექსპედიციის კოლხიდაში წასვლის დროს ჯერ კიდევ ბავშვი იყო, თვით მოგზაურობის ხანად უნდა ვივლიოსნმოთ ქრისტეს წინ მეცამეტე საუკუნის პირველი ნახევარი: 1218—20 წელი. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს პირველი შემთხვევაა, რომელმაც საქვეყნოდ სახელი გაითქვა. ამავე დროს აღსანიშნავია ისიც, რომ ეს არის დასაწყისი აზიისაკენ ევროპის გაქანებისა.

მართალია, დღეს ჩვენ არ მოგვეპოვება ამ საგანზე დაწერილი თვით ექსპედიციის მონაწილეთგან, არც ნამდვილი ორფეს პოემა, არც კრეტელი ეპიკენიდეს ნაწარმოები, რომელიც მას 6,600 ტაეზიან ლექსად დაუტოვებია; არც ვარონის მიერ ამ შემთხვევის გამო დაწერილი ოთხი წიგნი და სხვა მრავალი პოეტის ნაშრომი, მაგრამ, საბედნიეროდ, ჩვენამდე მოღწეულია აპოლონ როდელის, დიოდორე სიცილიელის, აპოლოდორის, სტრაბონის, ტროგ პომპეის, ონომავრიტის და ვალერიოს ფლავუსის და სხვების მშვენიერი თხზულებანი რომელთა წაკითხვას დღევანდელი განათლებული კაცობრიობაც კი აღტაცებაში მოჰყავს. გარდა ამისა, ძვირად თუ მოიპოვება რომელიმე ძველი ნაწარმოები, სადაც ამ საგანზე სჯაბაასი არ იყოს და ვინ მოსთვლის რამდენი ენერგია დალეულა ამ უცნაური ამბის წარმოშობის და თვით ბერძნების ექსპედიციის კოლხიდაში გაგზავნის ნამდვილი მიზეზების გასაგებად.

თუ თქვენ გადაათვალიერებთ ამ საგანზე ძველი და ახალი მკვლევარ-მწერალთა შრომებს, ნახავთ, რომ ერთი რიგი მწერლებისა დაჯერებული ყოფილან ოქროს ვერძის არსებობაში: მას ნებტუნის და თეოგანეს შვილად ასაღებენ. მეორენი კი ასეთი ვერძის არსებობას არ უარყოფენ, მაგრამ ზემოაღნიშნული დებულების წინააღმდეგ მიიხილა-შტრებენ: რადგან ეს ვერძი ძლიერ მსუბუქი და სწრაფი იყო, ნებტუნის შვილად სწორედ ამიტომ მონათლეს, ისევე, როგორც ყველა კარგი გემები ამ ომერთის შვილად მიაჩნდათო. დიოდორე სიცილიელი და ეუსტები ამ შემთხვევაში უფრო რეალისტები აღმოჩნდნენ. მათი აზრით: გემს, რომლითაც ფრიქსოსი კოლხიდაში ჩავიდა, აღბად ვერძის ფორმა ექნებოდა, ფერიც ოქროსი და სახელადაც ვერძი ან ოქროს ბეწვი ერქმეოდაო. ამ უკანასკნელთა დებულებას ამართლებს პოზანიის ის დებულება, რომ: კოლხიდაში ჩასვლისთანავე ფრიქსოსმა თავის გემის ქოჩორი ღმერთს შესწირაო. შეხვდებით იმ აზრსაც, რომ თითქმის ათამას მეფეს ჰყოლოდა ერთი ოქროს ფერის მატყლის მქონე ვერძი და შეიძლე-

ბა ფანატიკოს ბერძნებს ის მართლაც ოქროსი ეგონათ და ლაპარაკიც ამაზე ატყდაო. ან კიდევ ფრიქსოსის გამზრდელს სახელად კრიოს (ცხეარი) ქრიზომალუსი (ოქროს ბეწვი) რქმეოდა და სწორედ მას მოეპაროს განწირული და-ძმანიო. არა, თვით ოქროს ვერძმა მოიპარა ისინი და კოლხიდაშიც ჩაიყვანათ, ირწმუნებიან მეორენი. ფრიქსოსი და ჰელე თვით ქურუმმა გააფრთხილა, მათ შობილების ძვირფასეულობის ერთი ნაწილი თან გაატანა და კოლხიდაში გაისტუმრაო, გვიმტკიცებს ჰეროდოტი. ამ უკანასკნელის აზრთან ახლოა პალეფატე, რომელსაც ჰერონია, ფრიქსოს კოლხიდაში წაეღოს თავის დედის რალაც ოქროს ქანდაკება, მაგრამ ამ ვერსიას სხვები არ იზიარებენ და განსაკუთრებით ლაბზე ბარნიეს სასაცილოდ არა ჰყოფნის, თუმცა საგანზე თავის შეხედულეის გამოთქმას მაინც გაუჩნის. რაც შეეხება აპოლონ როდელის დებულებას თითქოს ნეფელე ღრუბლად იქცა და თავისი შვილები ქურუმებს უჩინრად მოჰპარა, ის საკმარისად აშუქებს: თვით სიტყვა ნეფელე ბერძნულად ღრუბელს ნიშნავს და სწორედ ამიტომ დასჭირდა ამ მწერალს ასეთი ფანტაზიის შეთხზვაო.

ყველა ზემო ნათქვამიდან ჩვენ შეგვიძლია მხარი დაუჭიროთ იმ აზრს, რომ ფრიქსოსის გემს ვერძის ფორმა ჰქონდა, ფერიც ოქროსი და მამასადამე, სახელად ოქროს ვერძი ან ოქროს ბეწვი ერქმეოდა. ამრიგად, პოზონიას აზრი, რომ კოლხიდაში ჩასულმა ყმაწვილმა თავისი გემის ქონორი ღმერთს შესწირა, სიმართლესთან უნდა იყოს დაკავშირებული: ხოლო თუ ეს ასეა, ამ შემთხვევაში რა უნდა ყოფილიყო ის ძვირფასი განძი: რომელიც ოტიამ მუხის თუ ქადარის ქვეშ, იუპიტერის ტაძარში ასე მოწიწებით შეინახა? აქ პალეფატეს ის აზრი, რომ ფრიქსოსმა კოლხიდაში რალაც ოქროს ქანდაკება წაიღო, ერთი შეხედვით, შეიძლება სიმართლედ მიგვეჩნია, მაგრამ ამ ექსპედიციის დეტალურად შესწავლამ იმ დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ მას გარდა თავისი, უკვე გახუნებული ნავისა იქ არაფერი მიუტანია, და როგორც ეს დიოდორე სიცილიელსაც ჰგონია, იქ ჩასვლისთანავე მან, შეიძლება იუპიტერს შესწირა იმავე კოლხიდის ჩვეულებრივი ვერძი: რომლის ტყავი, ალბად, დაკიდულ იქმნა მარსის ველზე მდგარ ხის ქვეშ (ასეთ შემთხვევებს დღესაც აქვს ადგილი სამეგრელოში).

რაც შეეხება კოლხიდაში მისი გამგზავრების მიზეზებს, ის საბუთები, რომელნიც ჩვენს ხელთ იმყოფება, უარყოფენ იმ ფანტაზიებს, რომელნიც თითქოს, მას თავს დაატება დედინაცვალმა ინომ, რომელსაც უფრო გვიან, ლეუკოთოეს ზედმეტ სახელწოდებით ზღვის ერთერთ ღვთაებათაგანად აღიარებულს, მან კოლხიდაში, ზენასენებ სახელით ცნობილი ტაძარიც კი აუგო. ჩვენის აზრით, ეს ფსიქსოსი კოლხიდაში გაბატონების მოსურნე საბერძნეთის საიდუმლო აგენტია და სხვა არაფერი. მეფე ოტიას მიერ თავისი სიძის სიკვდილით დასჯაც აქეთიენ გვითითებს, მამასადამე იასონის კოლხიდაში წასვლის მთავარი მამოძრავებელი ძარღვიც სწორედ ამ მიმართულებით უნდა ვეძიოთ. ხოლო ვარრონი, პლინი და შემდეგ კლერკის ის მოსაზრებანი, რომ ბერძნები კოლხიდაში გაემგზავრენ ექაური მშვენიერი შალის და ბეწვეულობის შესაძენად, დღეს სერიოზულ მოტივად არავის მიაჩნია. ზომიერი გვიმტკიცებს: ფინიკელების მიმბაძველ ბერძნებს ორი ჯურის გემი ჰქონდათ: ვაჭრებისათვის რგვალი, გაულისად წოდებული, ხოლო მხედრებისათვის გრძელი — არგოდ წოდებული. იასონის გემს ეს სახელი იმი-



ტომ ერქვა, რომ ის გრძელი იყო და მამასადამე სამხედროო. ამ რიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ექსპედიციის სამხედრო ხასიათი უდავოა. უდავოა ისიც, რომ დასაწყისში, საბერძნეთიდან წამოსული ჯარი მართო ერთი გემით არ იქნებოდა, და თუ ჩვენ მართო არგონავტებს ვხედავთ, ეს უნდა აიხსნას ჯარის დიდი ნაწილის მგზავრობის დროს დაღუპვით: ის გაუგებარი ამბავი, რომ საბერძნეთიდან ქვეყნის დასაპყრობად წამოსული იასონი აზრს იცვლის და ოტიას ხაზინის გატაცებით კმაყოფილდება, ზემოთქმულ მოსაზრებას ადასტურებს.

ეხლა გადავიდეთ იმ ზღაპრულ ბრძოლებზე, რომელნიც იასონმა, ვითომ, კოლხიდაში აწარმოვა. არც ერთი ძველი და ახალი მკვლევარი არ მალავს, რომ იასონს გამარჯვება მოუპოვა მედეას მიერ თავის ერის მიმართ ჩადენილმა მუხანათურმა ღალატმა. მიუხედავად ამისა, დიდ ხანს საძიებელ საგნად ყოფილა მიჩნეული, თუ რა უნდა ყოფილიყო ის საზარელი გველეშაპი და ფოლადის ფეხებზე მდგარი კუროები, რომელნიც ოქროს ბეწვს დარაჯობდნენ? ფინიკიელების ენის მეცნიერულად შესწავლამ, რომელ ენაზედაც ეს ამბავი პირველად დაიწერა, დღეს უკვე ფარდა ახადა ამ ზღაპრულ თქმულებათ და მათ მაგიერ სულ სხვა სურათი გადმოგვეშალა. მაგალითად, ლაბე ბარნიე, რომელიც ალბად ბოშარს ეყრდნობა, გვეუბნება: სირიელების ენით „კოზა“ ანბანურად ხაზინას უდრის; „საურ“ — ალყას და იმავე დროს კუროსაც; „ნახას“ — ნიშნავს ფოლადს, რკინას და გველეშაპსაც. ცხადია — ამბობს ბარნიე — ფინიკიურ ხელთნაწერის თარგმნის დროს იმის მაგიერ, რომ გადმოეცათ: იასონმა ხელში ჩაიგდო ის ხაზინა, რომელსაც მეფე ჰაეტესი ალყა შემორტყმულ სიმაგრეში ინახავდა, ბერძნებს გადმოუთარგმნიათ, თითქოს, ამ ხაზინის ხელში ჩასაგდებად, საქირო ყოფილიყო გველეშაპისა და ფოლადის ფეხებზე მდგარი კუროების დამორჩილებაო. ეს ერთი უტყუარი საბუთთაგანია, რომ საქმე გვექონია არა მუხის ქვეშ დაკიდულ რაღაც გრძელ ვერძის ტყავთან, არამედ მედეას დახმარებით, ამ ბერძნის მიერ გატაცებულ კოლხეთის ხაზინასთან. ზედმეტს არ იქნება თუ აქ მოვიგონებთ სეიდას, ტოლუს და თითქმის ყველა ალქიმიკოსების აზრს: კოლხებს: ქონდათ ტყავზე დაწერილი სახელმძღვანელო, რომელიც შეიცავდა ოქროს დამუშავების საიდუმლოებას, რომლის მფლობელობა წარმოადგენდა დიდ საამშბიციო საგანს არა მართო ბერძნებისათვის, არამედ მთელი ქვეყნიერებისათვისო. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს ტყავი ვერძისა იყო და მას ინახავდა კოლხეთის მეფე თავის სალაროში ეგრე მოწიწებით: ვინ იცის, იქნებ ამ განძის ხელში ჩაგდებას სურვილიც საქმარისი საბაზი ყოფილიყო არგონავტების სამთარი ექსპედიციისათვის?

რაც შეეხება მედეას, უნდა აღვნიშნოთ, რომ ევრიპიდე და სხვების მიერ მისდამი მიწერილი ბრალდებანი: პელიასის მკვლელობის, კრეუსას და კრეონის ცეცხლში დაწვა და მისი საკუთარი ორი შვილის დახოცვა — ამ საშინელ ბრალდებათაგან მას ანთავისუფლებენ დიდი ავტორიტეტის მქონე მკვლევარ - მწერლები. პირიქით, ისინი ერთხმად ამბობენ, რომ ამ პრინციპსა, როგორც კოლხიდაში, ისე საბერძნეთშიც, გარდა კარგი საქმიანობისა, ცუდი არაფერი ჩაუდენიათ. ხოლო თუ ამ ლტოლვილობაში მყოფსა და უქირისუფლო პრინციპსა სხვა მრავალ უზნეო მწერალთა შორის ევრიპიდეც ტალახს ასხავს, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მისი გალანძღვით დაინტერესებული კორინთელებისაგან



ქრთამად ხუთი ტალენი აიღოვო. ერთად ერთი, რასაც მედეას უწუნებენ, ეს მისი მშობლების მიმართ ღალატია, მაგრამ ამასაც უმსუბუქებენ იმ მოტივით, რომ მას დედ-მამა მკაცრად ეპყრობოდაო. რომ მას იასონი გაგიჟებთ უყვარდა და ბოლოს იმიტომაც, რომ მეორედ საფრთხეში ჩავარდნილი დისწულების — ფრიქსოსის შვილების — მდგომარეობა ამას უკარნახებდაო.

აკ. შეუნარგია

### „შეცდომათა“ გასწორება

ჟურნალ „კავკასია“ № 7—14-ში ბ-ნი მ. ყაუხჩიშვილი ეხება 1933 წ. ბერლინში დაარსებულ „ქართველ ნაციონალისტთა ორგანიზაციას“. ეს გამოწვეულია იმავ ჟურნალის მარტისა და აპრილის ნომრებში მოთავსებულ „ცნობებით“, რომელნიც ყალბადაა წარმოდგენილი. ეს ჟურნალი მარტიდან მოყოლებული ამ საკითხს რამოდენიმეჯერ შეეხო. ჩვენ თავის დროზე ქართველ საზოგადოებას დაწვრილებით და ზედმიწყოლით ვაუწყებთ პრესაში ფაქტები მთელი ამ გარემოების გამო. ეს მოხდა დაახლოებით 1935—36 წ.წ. მას შემდეგ ხსენებული გარემოებანი ვერ შეიცვლებოდნენ. „კავკასია“ უბრუნდება ამ ძველ ამბავს და საზოგადოებას ურდგენს სრულიად უმართებულო შინაარსით: კერძოდ მოყვანილია შემოსხენულ ორგანიზაციის დამაარსებელთა სია მეტად მრუდით. ჩამატებულია სიაში პიროვნება, რომელიც არა ყოფილა და საერთოდ ტენდენციურად არის გაშუქებული მთელი რიგი ფაქტებისა. ეს გარემოება მიიძღვება საზოგადოებას გავაცნო საქმის ნამდვილი ვითარება. ჯერ ერთი: ვინ დააარსა ეს ორგანიზაცია? ინიციატივა მოდიოდა თითქმის ყველა მხრიდან, თუმცა არა ერთნაირი მიზნით. ყველაზე უფრო გულწრფელად მეჩვენებოდა ახალგაზრდათა თხოვნა, შეგვექმნა ერთი მთლიანი წმინდა ეროვნული ცენტრი. მსგავსი აზრი გამიზიარა აგრეთვე ბ. ვლ. ახმეტელმა განსვენებულ ქან ვანდა ყოყოჩაშვილ-ნაკაშიძის დასაფლავების დღეს; რაზედაც მაშინ მე მოკლედ უპასუხე, რომ ეს საქმე კარგია და საერთო წესით უნდა გაკეთდესთქო. მხარეები მე მომმართავდნენ მაშინ, რადგან მე ვხელმძღვანელობდი ეროვნულ დაჯგუფებას (რომელიც შემდეგ, 1934 წ. ჯერ ფაქტიურად და მერე ფორმალურადაც დაიშალა). ყველამ იცოდა ჩემი გარკვეული პირობები. ამასობაში დაბრუნდა და დარჩა ბერლინში ბ. შალვა ქარუმიძე, რომელსაც ძალიან დაუახლოვდნენ ეროვნულ დაჯგუფების გარეშე მდგომი ზოგიერთი პიროვნებანი. როცა საქმე მიდგა ორგანიზაციის დამფუძნებელ საზოგადო კრების მოწვევაზე, ბ. ვლ. ახმეტელმა, რომელიც თავის თავს საქმის ინიციატორად გრძნობდა, ითავა და ეს კრება თითონ მოიწვია. ასე რომ იმის თქმა, ეს „ორგანიზაცია“ დაარსებულია ბ. შ. ქარუმიძის მიერო, დიდი სიყალბეა და შეიძლება ნაკარნახევი იყოს ვინმეს სურვილით, რომ სიმართლე გამრუდდეს. მეტიც ითქმის, ზოგი, ეხლა ბერლინში მყოფი პირები რომ არ შეჩნდნენ ბ. შ. ქარუმიძეს, მას არც კი უნდოდა ამ საქმეში აქტიურად გაეყვა. ყოველ შემთხვევაში, დასაწყისში მას მერყეობა ეტყობოდა და მე მითხრა თუ ვინ ეჩიინებოდა მონაწილეობა მიელო. მას, შეიძლება სურდა ზოგიერთების გამოყენება, მაგრამ ისიც ცხადია, რომ ის სწევბამაც ზორბად გამოიყენეს, მაგ. ჩვენს წინააღმდეგაც.



დაარსდა თუ არა ეს ორგანიზაცია, ზოგი მემარცხენი დაგვემუქრენ ორგანიზაციას უსათუოდ დაეინგრევთო. ეს იცის სხვებზე კარგად მანმა გრძელად დასამძიმე. ამ საკითხზე „კავკასიაში“ მოთავსებული წერილები (მარტი, აპრილი, ივლისი), რომ გადაიკითხოთ, გამოიღოს, თითქოს დიდი დანაშაული ჩაედინოთ ორგანიზაციის წევრებს და ვითომდაც „ბ. შ. ქარუმიძის მიერ დაარსებულ“ ორგანიზაციაში შესულიყვნენ. ეს ცნობა ყალბია. ორგანიზაცია არ არის ქ. ქარუმიძის მიერ დაარსებული. მისი დამაარსებელი არიან მისი ინიციატორები: ახალგაზრდობა, ბ. ვლ. ახმეტელი და სხვანი და არა ბ. შ. ქარუმიძე. ვინც ეხლა წინააღმდეგ ამტკიცებს, ის შეგნებულად სიყალბეს აერცვლებს. მეორე — და ეს მთავარია — 1933 წლის ივნისში, როცა ეს ორგანიზაცია დაეაარსეთ, ბ. შ. ქარუმიძეს ყველა ჩვეგანი ვიცნობდით, როგორც ძველ და სანდო პატრიოტს. აი ამიტომ ჩვენ ძალიან გვაკვირვებს ის ფორმა და ტენდენციურობა, რომელიც ახლავს „კავკასიას“ „ცნობებს“.

აქვე უნდა ვსთქვათ, რომ ორგანიზაციის დაარსება ნაგულისხმევი იყო, როგორც ეტაპი საერთოდ ქართველ მებრძოლთა გაერთიანებისა. უმთავრესი მოვალეობა და პასუხისმგებლობა მის დაარსებაში მაწევს მე, რადგან მაშინ ჩვენი დაჯგუფების უარსა თუ თანხმობას საქმის ინიციატორები ანგარიშს უწყევდნენ. მე ვარ პასუხისმგებელი ორგანიზაციის ნამოქმედარზე 1933 წ. განმავლობაში და ჩვენი განსრახვათა, მიზნებისა თუ მეთოდების შესახებ, ჩვენ მზადა ვართ, თუ ეს საქირო იქნება, საზოგადოებას ხელმეფარედ ჩავაბაროთ ანგარიში.

რამდენჯერაც არ უნდა დაუბრუნდნენ ამ საკითხს, ჩვენ ბრალს ვერაფერს დაგვდებს და ზედმეტჯერ დადასტურდება, რომ ემიგრაციაში უსათუოდ ტრაილებს ბოლშევიკთა და სხვა მტერთა ხელი. რომ ზოგი თავიდანვე დაგვემუქრა საჯაროდ, ნაციონალისტთა ორგანიზაციას დაეანგრევთო, მიმართეს მრავალ ბნელ ზომებს და ბოლოს დაანგრვიეს კედეც. ბევრი ეხლაც ებრძვის საქართველოს მთლიანობის მძალად იცის და განაწამებ ქართველობის იმ ერთობას, რომელსაც ერმა აურაცხელი მსხვერპლითა და წამებით ძლივს მიაღწია და რომელსაც ის ეხლა, ჯოჯოხეთურ პირობებში თავგანწირვით იცავს მთელს ისტორიაში უმაგალითო მტრის წინააღმდეგ. მით უფრო გვმართებს ფხიზლობა და ყოველი ჩვენი სიტყვისა და ნაბიჯის მეტი დაკვირვება.

აქვე უნდა დავძინოთ, რომ ზოგიერთები, განსაზღვრული მიზნით თუ შეუგნებლად, ქართულ პოლიტიკურ პარტიებს უწოდებენ რუსეთის ნიადაგზე წარმოშობილთ. რას ნიშნავს ეს? ცხადია, ბოლშევიკურ რუსეთის ნიადაგზე არც ერთი პარტია არ არის წარმოშობილი და ემიგრაციაში წარმოდგენილი, მაშასადამე ყველა პოლიტიკური პარტები ძველი რუსეთის ნიადაგზე წარმოშობილან. ყოველმა შეგნებულმა ქართველმა იცის რომ ეს მართალი არ არის. მაგალითად ჩვენი, ნაციონალისტური მიმართულება დაარსებულია და გაზრდილია სწორედ რუსეთის გავლენის საწინააღმდეგოდ და იმ ახალგაზრდობის მეთაურობით რომელიც ევროპაში განათლება მიღებულნი, დიდი ომის დროს შინ დაბრუნდა და დაეწაფა ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებას. არ არის შემთხვევითი, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის იდეა პირველად ჩვენი მიმართულების, ეროვნულ-ხალხოსნურ (დემოკრატიულ) პარტიის დამფუძნებელ კრებაზე იქმნა პოლიტიკურ ფორმულაში ჩამოსხმული და შევიდა მის პოლიტიკურ პროგრამაში უახლოეს ამოცანად. არც ისაა

შემთხვევითი მოვლენა, რომ სწორედ ამ ქართულ ნაციონალისტურ პარტიას ჰქონდა კავშირი მაშინ უცხოეთში მომუშავე საქართველოს განმათავისუფლებელ კომიტეტთან. დასასრულ, ცნობილია, რომ სწორედ ჩვენ გვქონდა შეტაკება ძველი თაობის ისეთ პირებთან, რომელნიც ძველი რუსეთის გაზრდილნი და მოტრფიალენი იყვნენ.

### ტ. მარგველაშვილი

## სამშობლოს

მხოლოდ შენა ხარ ამა ქვეყნის უპირველესი,  
და შენს წინაშე მეტანიით ვლიან მლოცველნი,  
შენზედ დასწერეს პოეტებმა პირველი ლექსი,  
მშვენების რითმით და მუსიკით განაოცარნი,  
მძიმე ფიქრებში დაიხლართა, მოკვდა მგოსანი.  
გადარჩა მხოლოდ წარმოშვება ულამაზესი.

არ იცი კენესა, არც სიცილი, არც ცივი ცრემლი.  
არც უხეში ხარ, არც მოქნილი და ლმობიერი,  
დაბადებიდან სიკვდილამდე ყველა მოგელის,  
შენი მონაა თვით ეშმაკი მუდამ ცბიერი.  
ასე ყველანი სიყვარულის სევდით ვხუცდებით.  
მხოლოდ შენა ხარ ერთად ერთი მუდამ უცვლელი.

დილა ამოდის იის ფერი, მზე ოქროს აფენს,  
ჰორიზონტიდან ეშვება მწვანე მინდვრები,  
ხან ცა ღრუბლებით ემსგავსება გაშლილ ყიარფებს,  
ათასი ფერი ცისარტყელად შემოიკრების,  
მიდიან წლები სიყვარულის ეშხის ფურცლები  
მხოლოდ შენა ხარ ერთად ერთი მუდამ უცვლელი.

შენვე წარმოშვი სატანჯველად სიცოცხლის სული  
და სიყვარულით მოევლინე როგორც ზღვის ტალღა.  
სცემს დედა-მიწა ცეცხლის ძარღვით შემოგარსული,  
და ყუმბარები ეცემიან საწუთროს საზღვარს.  
შენ გწივ შობილი, შენთვის ვკვდებით გამოუცდელნი,  
მხოლოდ შენა ხარ ერთად ერთი მუდამ უცვლელი.

და ამ მშვენებას გარდაუვალს, სამარადისოს,  
უმღერ და ვეტრფი, როგორც მონა მისი დიდების,  
თუ შენი ხილვა ბედმა ჩემმა მე არ მაიღოსოს,  
დე, მოკვდეს გული ჩრდილოეთის შურის ძიებით.  
გადიან წლები, მოვლენები მეტად სწრაფია,  
და ჩემ სიცოცხლეს ეწერება „ეპიტაფია“:

ეყავ დენილი, მქონდა ზრახვა ივერიელის,  
მწამდა სამშობლო ყოველ ღმერთზე უფრო ძლიერი!

გიორგი ყიფიანი

## მგელი და სოფელი

ბ. ნ. ჟორდანიამ მენშევიკური პარტიიდან გამოსვლა განიზრახა... მაგრამ პარტია მასზედ ჯიუტი აღმოჩნდა და ბელადი არ გაუშვა. (გაზეთებიდან).

იყო ერთი ავი მგელი,  
ყურმოკლე და კბილებ გრძელი,  
მგელთა ხროვის წინამძღოლი,  
ბელადი და მბრძანებელი.

შეგვიშინდა ბერი მგელი,  
ვაპ, თუ ქკუა წავაგეო,  
თუ სოფელმა არ მიმილო,  
მერე ვისლა მივადგეო.

ვიდრე მუსლში ძალა ჰქონდა  
და უჭრიდა ქოფაქს კბილი,  
არ ეღიარსა სოფელს მისგან  
მოსვენება, არცა ძილი.

ინეგ მგლობა ამჯობინა,  
თავის ლეკვებს დაუჯერა,  
პირველად რომ აპირებდა  
გამოცვალა ის სიმღერა.

მაგრამ ბოლოს როცა იგი  
ვერა მგლობდა, როს დაბერდა,  
სხვა ხელობა განიზრახა  
და სხვაგვარად აგვიმღერდა.

სოფელს უთხრა: მეგობრებო  
არ მოგტაცებთ აწ მე ცხვარსო,  
თქვენს ფარას მე ვუღარაჯებ,  
მე დავიცავ ყანა-ზვარსო.

სთქვა: აწ მგლობა არ შემფერის,  
აღარ ვიყაჩაღებ მეო,  
იქნებ სოფლის ხუცესობა,  
ხელთ ჩავიგდო როგორმეო.

თუ მენდობით გეფიცებით,  
რომ თქვენს არეშარეშიო,  
სამულამოდ მოისპობა  
მტაცებელთა თარეშიო.

მაშინ მგლები აღმუილდნენ:  
თუ წავიდა დაგელუპავსო,  
შინაური საქმე იცის,  
ვერ დავიცავთ მისგან თავსო.

მამასახლისად მიყოლეთ,  
ჩემი მგლობა ნუ გაფრთხობთო,  
საკუთარ ძმებს მირჩევისხართ  
დამიჯერეთ, ამას გთხოვთო.

უთხრეს: ბერო რაც აქამდე  
გიჭამია მგლობაშიო,  
ერთითად გარწყევინებთ  
შენ მაგ სოფლის მღვდლობაშიო.

სოფელმა რა უპასუხა,  
აღარ ამბობს დღეს ლეგენდა,  
მხოლოდ დარჩა ეს არაკი  
ქკუის მასწავლებლად ჩვენდა.

მგლის ქცევაში თუ კი ვინმემ,  
იცნოს საკუთარი ქცევა,  
დე ნუ იტყვის, მაგრამ ბატკნის  
ქურქშიც ხულა გაეხვევა.

ყარამან